საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 11 მაისი. 2020 წ. №62 (8988) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„ქართველს ქართველზე დიდი მტერი არც არასოდეს არა ჰყოლია“

ჭეშმარიტება შეიძლება დაიჩაგროს, მაგრამ მისი საბოლოოდ დამარცხება შეუძლებელია!

ნეტარი ავგუსტინე

ანუ, იმის თაობაზე, თსუ-ში „ილიოლოგთა კლუბის“ დამფუძნებელი როგორ „წიხლავს“ ყველაზე გამორჩეულ ილიელს, აწ უკვე სამოთხეში დამკვიდრებულ ქრისტესმიერ ზვიად გამსახურდიას

ახლახან ერთ სოლიდურ და პოპულარულ გაზეთში დიდი ინტერესით გავეცანი ამონარიდს პროფესორ ელბერდ ბატიაშვილის წიგნიდან — „ილია და საქართველო. მემკვიდრეობა და თანამედროვეობა: რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ“, — რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, არსებითად საქართველოს სამომავლო გზის ილიასეულ კონსტიტუციურ მონარქიას ეხება. თუმცაღა, სულ მალე ვიხილე მაღალტიტულოვანი ავტორის ელემენტარული, მაგრამ გამიზნულად მიკერძოებული მსჯელობა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომლის „უცოდინრობით“ (?!), თურმე, „საქართველოს პირველ პრეზიდენტს „თავიც დაუღუპავს და ქვეყანაც“(?!).

იხ. 5 გვ.

ჩვენ ვცხოვრობთ ურთულეს დროს, მაგრამ ნუ გაგიტყდებათ გული, ნუ იფიქრებთ, რომ ამის მეტი გზა არ არის, არის, ღმერთი მოგვცემს ჩვენ მადლსა და ძალას. სიხარული სიყვარულის შედეგია. სიყვარული თუ აქვს ადამიანს, სიხარულის ექნება. ღმერთი არის სიყვარული, ღმერთი იყოს თქვენთან და ჩვენთან. ღმერთმა ინებოს ჩვენი სულიერი გადარჩენა.

ილია მეორე

რუსული ბაცილა ქართულ ბასილაში ④

„უდიდესი რეფორმატორისა“ და ნაცტროლთა კლასტერის კრახი ③

შხამის გავრცელებაში მედია კორონავირუსს ეჯიბრება... ⑦

საქართველოში ჩანერგილი რუსი კიბერჰაკერები

ბრიტანული ტაბლოიდი Daily Mail-ი ამტკიცებს, რომ საქართველოში ბაზირებულია რუსეთის უსაფრთხოების სამსახურთან დაკავშირებული კიბერჰაკერთა ჯგუფი, რომელმაც ბრიტანეთიდან სამედიცინო კვლევების ჩანაწერები მოიპარა.

სტატიის თანახმად, დასავლეთ ლონდონში მდებარე სამედიცინო დაწესებულებას, რომელშიც მედიკამენტებსა და ვაქცინებს იკვლევენ, მარტში დაესხნენ თავს. გამოცემის ინფორმაციით, მოიპარეს ასობით ბრიტანელის კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის, პასპორტების, დაზღვევის ბარათებისა და ვიზის დოკუმენტების სკანირებული ფოტოები, სამედიცინო ისტორიის ჩანაწერები და ჯანმრთელობის კითხვარები.

Mail Online | News

Home | News | U.S. | Sport | TV&Showbiz | Australia | Femail | Health | Science | Money | Video | Travel | DailyMailTV | Discounts

Latest Headlines | Coronavirus | Royal Family | Boris Johnson | World News | Arts | Headlines | France | Most read | Wires | Login

Kremlin-linked cyber hackers steal hundreds of medical trial records from British coronavirus lab

- We can reveal new details about the scale of the online battle which has left the intelligence community 'stunned' and is a subject of mounting concern at No 10
- Hackers linked to Russia and Iran were behind 'utterly reprehensible' hits on British institutions tackling the virus, including universities and research labs
- It is understood that further investigation suggests the hackers responsible are based in Georgia and linked to the Kremlin and the Russian security services
- Here's how to help people impacted by Covid-19

By HARRY COLE, DEPUTY POLITICAL EDITOR FOR THE MAIL ON SUNDAY

PUBLISHED: 23:23 BST, 9 May 2020 | UPDATED: 23:42 BST, 9 May 2020

Site Web Enter your search Search

Like Daily Mail | Follow Daily Mail | Follow @DailyMail | Follow Daily Mail | Follow @dailymailuk | Follow Daily Mail

DON'T MISS

'I'll see you in court!' Warring WAGs Coleen Rooney and Rebekah Vardy's summit to heal rift ends in bitter deadlock

გამოცემა წერს, რომ თავდასხმაზე პასუხისმგებელი ჰაკერები კრემლსა და რუსეთის უსაფრთხოების სამსახურებთან არიან დაკავშირებული და საქართველოდან მოქმედებენ.

ჩინეთი და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მსოფლიოს წინააღმდეგ

ჩინეთის პრეზიდენტმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელს სთხოვა, რომ კორონავირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის ინფორმაცია დაემალა, — ამის შესახებ ინფორმაციას გერმანული გამოცემა „შპიგელი“, ქვეყნის „ფედერალურ სადაზვერვო სამსახურზე“ (BND) დაყრდნობით ავრცელებს.

„ფედერალური სადაზვერვო სამსახურის თანახმად, ჩინეთმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას უბიძგა, რომ უმაღლეს დონეზე ვირუსის აფეთქების შემდეგ, გლობალური გაფრთხილება გადაედო. 21 იანვარს, ჩინეთის სახელმწიფოს მეთაურმა, სი ძინპინმა, ტედროს ადჰანომ გებრეიესუსს სატელეფონო საუბრისას სთხოვა, რომ კორონავირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის ინფორმაცია დაემალა და პანდემიური გაფრთხილება გადაედო. ფედერალური სადაზვერვო სამსახურის შეფასებით, მთელ მსოფლიოში ვირუსთან საბრძოლველად, ჩინეთის საინფორმაციო პოლიტიკამ ოთხიდან ექვს კვირამდე დაკარგა“, — წერს „შპიგელი“.



გერმანული გამოცემის თანახმად, ქვეყნის მთავრობა არ ეთანხმება აშშ-ის პოზიციას, რომ კორონავირუსი ჩინეთის ლაბორატორიაში წარმოიშვა.

ამასთან, „შპიგელი“ წერს, რომ **სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სატელეფონო საუბრის შესახებ ინფორმაცია უარყო.**

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 14 მაისს

გიორგი გახარია და ირაკლი შოთაძე პარლამენტს წლიურ ანგარიშს წარუდგენენ

** პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენების პარლამენტისთვის წარდგენა გათვალისწინებულია პარლამენტის რეგლამენტით. რეგლამენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში პარლამენტს წარუდგინოს მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნული მოხსენება კი, წერილობითი ფორმით პარლამენტს პირველ ივნისამდე უნდა წარედგინოს.**

რაც შეეხება დოკუმენტის განხილვის პროცედურას, რეგლამენტით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოხსენებით წარდგომის ზუსტ დროს განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით.

* * *

საქართველოს გენერალური პროკურორის რანგში, ირაკლი შოთაძეს საკანონმდებლო ორგანოსთვის პირველი წლიური ანგარიშის წარდგენა მოუწევს. უწყებისთვის ანგარიშის წარდგენის ვალდებულება განსაზღვრულია პარლამენტის რეგლამენტით.

რეგლამენტის მიხედვით, გენერალურმა პროკურორმა პარლამენტს პროკურატურის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში 15 მაისამდე უნდა წარუდგინოს.

ანგარიში უნდა შეეხოს — სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს.

გენერალური პროკურატურის მიერ საკანონმდებლო ორგანოსთვის ანგარიშის წარდგენა გათვალისწინებულია ახალი რეგლამენტით. გასულ წელს, წლიური ანგარიში პარლამენტს ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა შალვა თადუმაძემ წარუდგინა, თუმცა უწყების მიერ ანგარიშის განხილვა არ მოხდა, მიზეზად 20 ივნისის მოვლენების გამო დროებით შეწყვეტილი საკანონდებლო საქმიანობა დასახელდა.

საყოველთაო გაჭირვების მიზეზი ეკლესიისთვის გადაცემული 25 მილიონი არ არის!

საპატრიარქოს საგანგებო განცხადება

„სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით რამდენიმე დღე მიმდინარეობდა მსჯელობა სახელმწიფოს მხრიდან 25 მილიონი ლარით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების შესახებ და იყო მცდელობა იმისა, რომ საზოგადოებას უარყოფითი განწყობა შექმნოდა ამ თანხის გამოყოფის გამო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ შემდეგი:

საერთოდ, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებების პირდაპირი ან ირიბი (ხელფასები სასულიერო პირებისათვის, ზრუნვა მათ საყოფაცხოვრებო პირობებზე, გრანტები, ფინანსური შეღავათები და სხვ.) დაფინანსება ჩვეულებრივი პრაქტიკაა დემოკრატიული ქვეყნების და, მათ შორის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებისთვის. ამასთან, ამ მიზნით იქ გაცილებით დიდი ფინანსები გაიცემა და ეს ხდება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში არც აგრესიულ ათეიზმს და არც კომუნისტურ ეპოქას ადგილი არ ჰქონია.

2002 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით (XI მუხლი), სახელმწიფო აღიარებს XIX და განსაკუთრებით XX საუკუნეში, კომუნისტური რეპრესიების დროს, ეკლესიისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას. ჩვენის მხრიდანაც არა ერთხელ იქნა განმარტებული, რომ საპატრიარქო სახელმწიფოსგან თანხას სწორედ ამ სახით იღებს. ამდენად იგი არ წარმოადგენს დახმარებას, როგორც ეს გაფორმდა წინა ხელისუფლების მიერ, არამედ, მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურებას; ვიმედოვნებთ, ხელისუფლება მომავალში სწორედ ამ ფორმულირებას მიანიჭებს მას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა არ არის მიზნობრივი და მის განკარგვაში ეკლესია თავისუფალია, ჩვენ, გავითვალისწინეთ რა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, არ მოვიხმარეთ იგი საკუთარი საჭიროებისათვის (თუმცა სოფლად, განსაკუთრებით მთის რეგიონში, მოღვაწე სასულიერო პირების შემოსავალი მეტად მწირია, ასევე საპატრიარქოს თანამშრომლების ხელფასებიც მიზერული — 180 ლარიდან 220 ლარამდე) და ვამჯობინეთ გადასახადის გადამხდელთა თანხები, ჩვენის აზრით, მეტად მნიშვნელოვანი ორი მიმართულებით — სოციალური და საგანმანათლებლო საქმიანობით, ისევ ხალხისთვის დაგვებრუნებინა.

რატომღაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეკლესია ასაიდუმლოებს 25 მილიონი ლარის განკარგვას, მაშინ, როდესაც დაინტერესებულ პირთ ისედაც შეუძლიათ მასალა იხილონ ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. შევნიშნავთ იმასაც, რომ ფული ხელზე არავის მიეცემა, არამედ ერიცხებათ კონკრეტული დანიშნულებით, ნაწილ-ნაწილ, წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით და ეს პროცესი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლდება.

სულ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ 90-მდე სასწავლო დაწესებულებაში 17 918 მოსწავლეა, რომელთაგან 856 მუდმივად ცხოვრობს პანსიონში, 525 ბავშვთა სახლებშია, 130 მოხუცებულთა თავშესაფარში, ამათ ყველას 2119 თანამშრომელი ემსახურება, რომელთგან 1364 პედაგოგია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ, ხელფასების გარდა, ეკლესიამ უნდა უზრუნველყოს სათანადო შენობების აგება, მათი კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა, კომუნალური ხარჯების დაფარვა და სათანადო კვება, ბუნებრივია, რომ გამოყოფილი თანხა ამას არ ეყოფა და არც ყოფნის. ამიტომაც რიგი სასწავლებლები მხოლოდ ნაწილობრივ ფინანსდება და ისინი იძულებულნი არიან, შემოსავლის სხვა წყაროები მოიძიონ.

ზემოთ აღნიშნული აქტიურობების გარდა და მწირი შემოსავლის მიუხედავად, ჩვენ არაერთ სხვა საქველმოქმედო საქმიანობასაც ვეწევით, მაგრამ სახარებისეული პრინციპიდან გამომდინარე — „მარჯვენამ არა იცოდეს, რასა იქმს მარცხენა“, ხმაურს არასოდეს ვტეხდით; თუმცა, ბოლო დროინდელმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა“.

დაბოლოს, კამპანია, რომელიც აგორდა მუსლიმურ ოჯახში დაბადებული გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო, კარგია რომ საზოგადოებამ გაითავისა, მაგრამ შხამიანი ისრების დამიზნება, რატომღაც ძირითადად საპატრიარქოსთვის უნდოდათ.

საქართველოში ყველა ბუნებრივი პირობაა იმისათვის, რომ შიმშილით არც ბავშვი გარდაიცვალოს და არც მოხუცებული, არც სანაგვეში ეძებოს ვინმემ ლუკმაპური. საყოველთაო გაჭირვების მიზეზი რომ ეკლესიისთვის გადმორიცხული და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის „დაკლებული“ 25 მილიონი ლარი არ არის, ვგონებთ, ცხადზე ცხადია; ცხადია ისიც, რომ ეს ყველაფერი ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული მორიგი შემოტევის ნაწილია. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც ყოველთვის, ახლაც „მოწოდების სიმაღლეზე“ აღმოჩნდა“...

* * *

შეგახსენებთ, რომ „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ ანგარიშს აქვეყნებს. დოკუმენტის თანახმად, 2002 წლიდან 2019 წლამდე ეკლესიამ ბიუჯეტიდან 276 მილიონ 500 ათასი ლარი მიიღო. საპატრიარქოსთვის გადაცემული უძრავი ქონება კი, ჯამში, 64 კვადრატულ კილომეტრ ფართობს მოიცავს.

* * *

რედაქცია უკომენტაროდ აქვეყნებს საპატრიარქოს ამ განცხადებას და მოუწოდებს მკითხველს, მხარი დაუჭიროს დედაეკლესიას არამკითხე მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძალიან კარგი იქნება, თუ სახელმწიფო მომავალი წლიდან გააორმაგებს ამ თანხას და ამით ხელს შეუწყობს ქვეყნის ყველაზე რეიტინგულ და ავტორიტეტულ ინსტიტუტს სოციალურ და საგანმანათლებლო საქმეთა აღორძინებაში.

უკრაინა და საქართველო: რატომ

როგორც ჩანს, ერთ დროს საქართველოს ხელისუფლების მიერ დაწუნებულმა, თუმცა უკრაინის შემთხვევაში გამოყენებულმა მეთოდმა, „პარტნიორები ღია წერილებით არ ურთიერთობენო“ (საქართველოს პრემიერმა ბრძანა, როდესაც ამერიკელმა კონგრესმენებმა ერთმანეთის მიყოლებით ღია წერილებით გააკრიტიკეს „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება პროპორციულ სისტემაზე უარის თქმის შესახებ), შედეგი არ გამოიღო: უკრაინაში წაიკითხეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, პრეზიდენტის, დეპუტატების ვრცელი უსტარები და საბოლოოდ საქართველოს მესამე პრეზიდენტი უკრაინაში ვიცე–პრემიერად არა, მაგრამ რეფორმების ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა, თან ვოლოდიმირ ზელენსკიმ „შემოთვალა“, „ეს ჩვენი პოლიტიკაა. სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა... მე კი უკრაინის პრეზიდენტი ვარო“. ამდენად არც საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მამუკა მდინარაძის „მოლოდინი“ გამართლდა, ყოფილი პრეზიდენტის „ყავის მომდუღებლად“ გამწესების თაობაზე. თუმცა აქ მთავარი სხვა საკითხია — რატომ არ აღმოაჩნდა საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას პარტნიორებთან ურთიერთობაში საკმარისი გავლენა და როგორ აისახება გადაწყვეტილება პარტნიორებს შორის ურთიერთობაზე? თბილისმა უკრაინიდან ელჩი კონსულტაციებისთვის გამოიწვია. მართალია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი დავით ზალკალიანი ამბობს, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა ან სტრატეგიული პარტნიორობის გადახედვა არ განიხილებაო, მაგრამ საკითხავია, ამ ურთიერთობებს ხომ არ გადახედეს თავად უკრაინაში?

როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი **გიორგი გოგრონიძე „აქცენტთან“** ამბობს, გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის დეკლარირებული პარტნიორობის მიღმა არსებობს გარკვეული უთანხმოებები, რაც ბევრ რამეში ვლინდება, მათ შორის:

- **საქართველო ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდა;**
- **საქართველოს არ შეუძლია საერთაშორისო არენაზე მანევრირება.**

„საქართველოს დიპლომატია უშვებდა შეცდომას — საქართველო და უკრაინა ერთიან პაკეტში არ განიხილებოდა. არა და ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, სამწუხაროდ, საქართველოში მომხდარის ლოგიკური გაგრძელებაა. ამიტომ, გვჭირდებოდა, რომ სადაც კი უკრაინა ჩანდა, ყველგან მის გვერდით ვყოფილიყავით. ამასთან, ცოტა „უცნაური“ ურთიერთობა გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან: ერთ მხარეს ანგარიშზე გვაქვს სამი ეთნიკური წმენდა, მუდმივი განგრძობადი ოკუპაცია, ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსია და იმავდროულად, რუსეთი მესამე ეკონომიკური პარტნიორია და ქალბატონი თურნავას (ეკონომიკის მინისტრი) სიტყვებით, ერთ-ერთ პირველებს რუს ტურისტებს გავუხსნით საზღვრებს, მერე რა, რომ მხოლოდ მოსკოვში 70 000-ზე მეტი ინფიცირებულია.

ეს ანომალიური ურთიერთობები ჩვენს დიპლომატიას არათანმიმდევრულს ხდის, რაც საბოლოო ჯამში აისახება ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე და ამან უკრაინაში გააჩინა განცდა (მაქვს უკრაინელ კოლეგებთან კომუნიკაცია), საქართველო არაა სათანადოდ წარმოდგენილი უკრაინის პარტნიორ და მხარდამჭერ სახელმწიფოებს შორის და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების დასაბუთებული თუ და-

„უდიდესი რეფორმატორისა“ და ნაცტროლთა კლასტერის კრახი

დიახ, მართლაც უღიმღამოდ ჩაიარა ამ კვირამ.

პანდემია ნელ-ნელა უკან იხევს, ქვეყანა უკვე ახალ ეტაპზე გადადის. ხდება სხვადასხვა დაწესებულების ამუშავება. მიკლედ რომ ვთქვათ, პროცესი ზუსტად ისე მიმდინარეობს, როგორც უნდა მიმდინარეობდეს.

დიდი გამოცოცხლება არც პოლიტიკურ სივრცეშია. ამ მიმართულებით მხოლოდ ორი გასართობი მოგვეცა.

მიხეილ სააკაშვილის უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი ცენტრის ხელმძღვანელობა და ფეისბუქის ადმინისტრაციის მიერ კორონაცებთან აფილირებული სხვადასხვა გვერდისა, თუ ე.წ. „ტროლის“ გაუქმება.

დავიწყებ სააკაშვილით.

ანალიტიკოსმა ლადო ბოჟაძემ ძალიან ზუსტად ჩამოაყალიბა იმ ვნებათაღელვის აბსურდულობა, რაც სააკაშვილის გარშემო კორონაცების კლასტერში სუფევდა.

— მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რომ ის უკრაინელი პოლიტიკოსია, საწყენია რომ ადამიანი,რომელიც 9 წელი საქართველოს პრეზიდენტი იყო.ახლა ასეთი დაბალი დონის თანამდებობაზეც კი თანხმდება. უკრაინის პრეზიდენტმა, პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოს პოზიცია და უარი თქვა,აერჩიათ (გაქცეული და მსჯავრდებული პრეზიდენტი) მაღალ, პოლიტიკურ თანამდებობაზე, ხოლო ამ გადაწყვეტილებით სახე შეუნარჩუნეს და ტექნიკურ თანამდებობაზე დანიშნეს. რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობის წევრებისთვის და მხარდამჭერებისთვის ეს ვიცე-პრემიერობაზე მაღალი თანამდებობაა) უკრაინა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, ჩვენ ერთად უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ და სვლა ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ.

სრულად ვეთანხმები.

მართლაც საოცარია ის ხბოს აღტაცება, რომლითაც არიან შეპყრობილნი სააკაშვილის მომხრეები და „ყინულმჭრელს“ უწოდებენ იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც 2014 წელს შეიქმნა და რომელიც დღემდე მხოლოდ ერთხელ, 2018 წელს შეიკრიბა. იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც ჯამაგირს პრეზიდენტის ფონდიდან, ფაქტობრივად, გრანტის სახით იღებს.

ასევე აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ, როცა უკრაინაში საქართველოს ელჩი კონსულტაციებისთვის გამოიწვია.

იმ წერილების შემდეგ, რომელიც საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირებისგან იქნა გაგზავნილი, ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს დამოკიდებულებას მათი ამ ნაბიჯის მიმართ, ხოლო რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ სააკაშვილის ვიცე-პრემიერად დანიშვნა პუტინის ინტერესებს წარმოადგენდა, მაინცდამაინც სწორი ვერსია არ არის. ცხადია, პუტინს უკრაინასა და საქართველოში ნამდვილად აწყობს ის არეულობა, რასაც სააკაშვილის ხელისუფლებაში დანიშვნა მოიტანდა, მაგრამ ნამდვილად არ მგონია, რომ პუტინი დილიდან საღამომდე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დანიშნა ეს ოდიოზური ფიგურა რომელიმე მაღალ თანამდებობაზე და შემდგომ, რაღაც ამორფული დაწესებულების ხელმძღვანელობას დათანხმდა.

მსგავსი ნაბიჯები უფრო იმ კლასტერის ხელწერაა, რომლებიც ვერ თმობენ „უდიდესი რეფორმატორის“, „ფერადი რევოლუციების“ ოსტატის თამაშგარეშ ყოფნას და გარკვეულ ხარკს უხდიან მას.

ეს ის კლასტერია, რომლებიც უაზრო წერილებით და შეშფოთებებით „ბომბავენ“ საქართველოს ხელისუფლებას და ქართული კანონმდებლობისა და კონსტიტუციის მიმართ, სრულ უპატივცემულობას იჩენენ.

ხოლო რაც შეეხება ფეისბუქის ადმინისტრაციის მიერ ნაცებისგან დაფინანსებული ფეიქ-გვერდების დაბლოკვას, მარტივად ვიტყვი, რომ ეს ფაქტი პირადად ჩემთვის ისე აღიქმება, როგორც იმ კოლოს ოთახიდან გაგდება, სადაც მარტო მე და რამდენიმე ჩემი ახლობელი ვართ.

დიახ, მხოლოდ ერთი პატარა ოთახიდან გაგდება, რადგანაც, ჯერ ერთი, ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ ფბ „ჯგუფებისა“ და „გვერდების“ შექმნის მთავარი მიზანი და მათ გაუქმებაზე სკანდალის შექმნა, ე.წ. ბრძოლით დაზვერვა და რეალური ოპონენტის აბსოლუტურად უსაგნო კამათის რელსებზე გადაყვანაა. მეორე მხრივ, საქართველოს უმთავრესი მტრისთვის, კორონაცების მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებისთვის საზოგადოების მხრიდან დარტყმის აცილებაა (არის ასეთი ილეთი, როცა თვითმფრინავს დარტყმა უნდა აცდეს, ხდება ყალბი სამიზნეების გაშვება). ის აჟიოტაჟი, ის იდიოტური განცხადებები მაგალითად კოკა ყანდიაშვილის „ფაბრიკის“ შესახებ, ის განცხადებები, რომელთა მთავარი აზრი „ჩვენ კორონაცები წესიერი ხალხი ვართ, ის ტროლები“ და „ბოტები“ „ჩაგვიდესო“, სრული სისულელეა.

სრული სისულელე!

სწორედ ამიტომ მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ჩვენი ექიმები ძალიან მაგრები არიან, რომ კორონაცებს ე.წ. ეკლესიის კლასტერის მოლოდინმა არ გაუმართლათ და მათთან აფილირებული, უცხოეთში „მოღვაწე“ ტიპები, ბინძური თამაშის მონაწილენი არიან, რომ მთავარი მტერი „ქოცების დასაცინი გვერდი“ კი არ არის, არამედ ე.წ. ტელეკომპანია „მთავარი“ და კორონაცების კლასტერია.

რომ ხელისუფლება მაგრად მუშაობს და „სწრაფი ტესტების“ ბარიგები თაღლითები არიან. რომ ქართველები მაგრები ვართ და დამახინჯებული ლიბერალიზმი ჩვენთან ვერასდროს გაჯეჯილდება.

ის მახინჯი ლიბერალიზმი, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების დღეს 8 მაისს აღნიშნავს და ამ იდიოტური ახირებით, ვითომდა რუსულ პროპაგანდას ებრძვიან.

მინდა ვიკითხო: — ის „ევროპულად მოზროვნე“ ტიპები ფაშიზმზე გამარჯვების დღეს 8 მაისს რომ აღნიშნავენ, ახალ წელს 30 დეკემბრის ღამის 12 საათზე ხვდებიან?

საათობრივი სარტყელი თუ არ გაგიგიათ, დაგუგლეთ მაინც თქვე კუბილაუსის შეშფოთებებზე გაზრდილო გაუნათლებელო მდაბიოებო, თქვენ .

აბსოლუტურად არ მაინტერესებს დამახინჯებული ლიბერალიზმის კლასტერის „მოსაზრებები“ მეორე მსოფლიო ომთან მიმართებაში.

არ მაინტერესებს, იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ფაშიზმი მსოფლიომ უდიდესი მსხვერპლის ფასად დაამარცხა და იმ გამარჯვებაში, რომელსაც დღეს ვზეიმობთ უდიდესი წვლილი საბჭოთა კავშირს და კონკრეტულად საქართველოს ეკუთვნის.

ეს ისეთივე აქსიომაა, როგორც ის, რომ 2X2=4.

რა იყო საბჭოთა კავშირი, ან ვინ იყო სტალინი, ეს სხვა თემაა და დღეს მასზე კამათი, ან განხილვა უსაგნო და აბსურდია.

ვულოცავ ამ დღეს ყველა ვეტერანს, მათ შთამომავლებს, საქართველოს და ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს მთელ დედამიწაზე.

გია გაბრიჭიძე

მასკმა რუსულად დაიწყო ლანძღვა

Tesla-ს დამფუძნებელმა ილონ მასკმა, აშშ-ის შრომის ყოფილი მინისტრი რობერტ რეიქი რუსულად გალანძღა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ექსმინისტრმა Twitter-ის გვერდზე კრიტიკული პოსტი გამოაქვეყნა.

მისი მტკიცებით, მასკი თანამშრომლების გათავისუფლებით იმუქრება იმ შემთხვევაში, თუ მას თანამშრომელთა სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენების უფლებას არ მისცემენ, რაც კაპიტალიზმის გამოვლინების ყველაზე ცუდი ფორმაა. ბრალდებაზე პასუხად Tesla-ს დამფუძნებელმა Twitter-ის გვერდზე ერთადერთი სიტყვა რუსულად დაწერა — „იდიოტი“. რობერტ ბერნარდ რეიქი აშშ-ის შრომის მინისტრის პოსტს 1993-1997 წლებში იკავებდა.

ჯერ ცეკვა, შემდეგ...

ავსტრიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი კარინ კნაისლი ტელეარხ Russia Today-ს თანამშრომელი გახდა.

კომპანიის მთავარმა რედაქტორმა მარგარიტა სიმონიანმა ამის შესახებ Twitter-ის საკუთარ გვერდზეც დაწერა. 2018 წლის აგვისტოში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ავსტრიის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის ქორწილშიც იყო დაპატიჟებული და პატარძალთანაც იცეკვა.

ესაა, კარგი სროლა ვიცი?!

ეთიოპიელმა სამხედროებმა შეცდომით სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რომელსაც კოვიდინფიცირებულებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული ტვირთი გადაჰქონდა.

ინციდენტი 4 მაისს მოხდა. დაიღუპა 5 ადამიანი. African-Airways-ის კუთვნილი თვითმფრინავი კენიაში იყო რეგისტრირებული და ჰუმანიტარული დახმარება დასავლეთ სომალიში გადაჰქონდა. როგორც ეთიოპიის მხარე განმარტავს, ლაინერმა სამხედრო ბაზას გადაუფრინა და სამხედროებს ის მოიერიშე თვითმფრინავი ეგონათ.

ვერ იმუშავა დიპლომატიამ?!

უსაბუთებელი პოზიცია უკრაინის პოლიტიკური ელიტისთვის ბოლომდე მისაღები და გასაგები ვერ იქნებოდა“.

მისი დაკვირვებით, „იკვეთება, რომ საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას პოსტსაბჭოთა რეგიონში არ აქვს იმხელა ავტორიტეტი, რომ მისი პოზიცია გაითვალისწინონ: **„ხომ არ ვსაუბრობ იმაზე, რომ ეს პოზიცია გაითვალისწინონ აშშ-ში, ბრიტანეთში, იაპონიაში, კანადაში, რუსეთში... ავტორიტეტი კი იქმნება პრინციპული და პროაქტიური საგარეო პოლიტიკით, პარტნიორებთან ურთიერთობებით. როგორც ჩანს, ჩვენს დიპლომატიას ეს აკლია. ადვილია, სხვისკენ გაიშვირო ხელი და ელჩი გამოიწვიო, მაგრამ დაისვა საკითხი, რა არ გააკეთა დიპლომატიამ სწორად? მახსენდება მომენტი, როდესაც საქართველომ გაეროს გენასამბლეაზე პალესტინის ავტონომიის მხარდამჭერ გადაწყვეტილებაში მიიღო მონაწილეობა. მაშინ ისრაელის ელჩმა საკითხი შემდეგნაირად დასვა: „ეს ისრაელისა და საქართველოს ურთიერთობების გადახედვას გამოიწვევსო“. საქართველოში ბიზნესპალატის ხელმძღვანელმა კი უპასუხა, „ეს ორი ქვეყნის ურთიერთობის გადახედვას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ელჩის პოზიციის გადახედვას კიო“. შესაბამისად, კითხვა უნდა დაისვას, ჩვენ უკრაინასთან რა ვერ დავალაგეთ ისე, რომ მათ საქართველოს პოლიტიკური ელიტისთვის მსგავსი დისკომფორტის შემქმნელი გადაწყვეტილება არ მიეღოთ?“**

როგორც გობრონიძე ამბობს, „როდესაც ვერ ახერხებ, პარტნიორ სახელმწიფოს გვერდში დაუდგე, ბუნებრივია, რომ პარტნიორი პოლიტიკური ელიტის პოზიციას არ გაიზიარებს“: რაც შეეხება უშუალოდ უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის თანამდებობაზე დანიშვის საკითხს, გობრონიძისთვის მკვლევარის პოზიციიდან საინტერესოა:

„საერთაშორისო პოლიტიკაში ისედაც არ ვართ განებივრებული პრეცედენტებით, როდესაც ერთი სახელმწიფოს პრეზიდენტი მეორე სახელმწიფოში რაიმე წამყვან თანამდებობაზე ინიშნება. შესაბამისად, ეს შემთხვევა, მკვლევარის პოზიციიდან რომ შევხედოთ, საინტერესოც და უნიკალურიცაა“.

მეორეს მხრივ, გობრონიძე ფიქრობს, რომ ეს უკრაინის პოლიტიკაში სერიოზულ კრიზისზე მიუთითებს:

„უკრაინა ვერ ახერხებს, ქვეყნის შიგნით მოიძიოს ძალა, რომელსაც რეფორმების განხორციელება შეუძლია. კი ბატონო, სააკაშვილის ადმინისტრაცია იდეალური რეფორმატორი იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მაგრამ უკრაინაში არ ითვალისწინებენ იმ მთავარ კონტექსტს, რომ სააკაშვილმა საქართველოში „სუფთა ფურცლიდან“ დაიწყო. „ცარიელ ფურცელზე“ რაღაცის გაკეთება ბევრად ეფექტურია, მით უმეტეს, ძალიან პატარა სახელმწიფოში. ეს პრაქტიკა რამდენად გამოსადეგია უკრაინისთვის, მეორე თემაა, რადგან უკრაინას არ აქვს ის სასტარტო პოზიცია, რაც ჰქონდა საქართველოს და საქართველოში ჩატარებული რეფორმის სტილი და მანერა განსხვავდება იმ საჭიროებებისგან, რაც დღეს უკრაინას უდგას“.

რუსული ბასილა ქართულ ბასილაში

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ქართულ ენაში ტერმინი „ბასილა“ ცუდად გამომცხვარი პურის აღსანიშნავად გამოიყენება. ამის მიზეზი, შესაძლოა, იყოს ხორბლის ან ფქვილის ხარისხი, ხორბალში ან ფქვილში რაიმე მავნე ბაცილების არსებობა, ცხობის ნაკლოვანი ტექნოლოგია. მოკლედ, ამჯერად გვაინტერესებს არა ლიკანი – თონეში შემთხვევით ჩავარდნილი და ნაკვერჩხალზე გამომცხვარი ცომის გუნდა, არა ბალარჯი – სიმინდის ფქვილნარევი პური, არამედ სწორედ ბასილა – უხარისხო ხორბლისგან (ფქვილისგან) დამზადებული პური.

ღვთის ნებით თუ ადამიანთა დაუდევრობით, შარშანდელი დეკემბრიდან თანამედროვე კაცობრიობას უსასტიკესი განსაცდელი მოევლინა. დღეს უკვე ვხედავთ, რომ მსოფლიო გონი უცნობი ვირუსის შემოტევას უთუოდ გაუძლებს. თუმცა, ადამიანთა ცხოვრება ალბათ აღარასოდეს იქნება ისეთი, რაც აქამდე იყო – მოხდება ფასეულობათა საყოველთაო გადაფასება; ბევრ სხვა რამესთან ერთად, აზრს დაკარგავს დიპლომატიური ფარისევლობა და სიცრუის ჭეშმარიტების საბურველში გახვევის საუკუნოვანი ტრადიცია. კაცობრიობა თავის, მთლიანად სამყაროს არსებობას, ალბათ, სხვა თვალით შეხედავს და აღმოაჩენს, რომ გუშინდელის ანალოგიით ცხოვრების გაგრძელება ყოვლად წარმოუდგენელია.

ამის იმედი რომ მაქვს, სწორედ ამიტომ ვუბრუნდები ზოგადად, ადამიანებისა და, ბუნებრივია, ჩვენი მოქალაქეების არსებობისთვის აუცილებელი ფენომენით, პურით, უფრო კონკრეტულად, ხორბლით მომარაგების, ხორბლის სახელმწიფო სტრატეგიული მარაგების შექმნის პრობლემას.

ტრადიციულად, საქართველოსა და სომხეთში მოხმარებული ხორბლის უდიდესი ნაწილი საქართველოში შემოდიოდა რუსეთიდან გემებით ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებამდე და შემდეგ რკინიგზით, უშუალოდ დანიშნულების ადგილებამდე. ძირითადი მომწოდებელი დღესაც რუსეთია, ოღონდ შეიცვალა მარშრუტი - საქართველოსა და სომხეთში მოხმარებული ხორბლის უდიდესი ნაწილი შემოდის ავტოტრანსპორტით ლარსის საბაჟოდან დარიალის ხეობისა და კობი-გუდაურის უღელტეხილის გავლით სომხეთის საზღვრამდე. პროცენტული მაჩვენებლებით, თუ 2015 წლამდე სომხეთ-საქართველოში მოხმარებული ხორბლის თითქმის 100 პროცენტი ზღვითა და რკინიგზით შემოდიოდა, დღეისთვის ეს მაჩვენებელი 50 პროცენტამდეა შემცირებული. ეს გახლავთ დაახლოებით 550 000 ტონა ხორბალი წლიურად, რომლის ტრანსპორტირებას სჭირდება ოცდაათტონიანი ტრაილერის 20 000 რეისამდე მხოლოდ ერთი მიმართულებით, ანუ 40 000 რეისამდე ორივე მიმართულებით!

ეს ნიშნავს, რომ თითქმის მთელი წლის განმავლობაში პარალიზებულია საავტომობილო მოძრაობა ლარსის საბაჟოდან თბილისამდე; საბაჟო-გამშვებ ხაზთან, რუსეთის მხარეს, ყოველდღიურად დგას და საქართველოში შემოსვლის ნებართვას ელის ათასობით, ათი ათასობით ტურისტი; ამ ბაკქანალიით შესანიშნავად სარგებლობენ მექრთამე რუსი მესაზღვრეები; რუსეთის მხარეს არ არსებობს ელემენტარული მომსახურებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა (ტუალეტები, კაფეები, იაფფასიანი სასტუმროები დასასვენებლად და ღამის გასათევად), რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამძიმებს რიგში მდგარი ტურისტების მდგომარეობას, იწვევს მათ სამართლიან უკმაყოფილებას და უკლავს საქართველოში ტურისტული მოგზაურობის, დასვენების სურვილს; ვიწრო უღელტეხილზე მოძრავი გრანდიოზული ტრაილერები, იმის გამო, რომ ფაქტობრივად კლავენ მოძრაობას, წლის განმავლობაში გამოაფრქვევენ ორ მილიონამდე ლიტრ დიზელის ნამწვს, რაც კატასტროფის ტოლფასია საქართველოს ეკოლოგიის, ქართული ტურიზმისა და მთლიანად მოსახლეობისთვის; **ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვების პარალიზებით, საქართველო ყოველწლიურად კარგავს 70 მილიონ ლარს...**

ისიც გავიხსენოთ, რომ ამ რეგიონში არსებული უნიკალური ბუნებრივი პირობებიდან

გამომდინარე, ტურისტული ნაკადების მოსაზიდად უკვე მილიარდობით დოლარის ინვესტიციებია ჩადებული გზების, ხიდების, საბაგიროების, გვირაბების, სასტუმროების, სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის, სასმელი და ტექნიკური წყლების რეზერვუარების, ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. ძირითადი სამუშაოების დამთავრება დაგეგმილია 2022 წლის ბოლოსთვის.

ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ თუ კობი-გუდაური-ფასანაურის ტრასაზე, ვიწრო ხეობაში სამოცტონიანი ტრაილერების გრუხუნი არ შეწყდება (უფრო ზუსტად, „კორონავირუსის“ გადავლასთან ერთად ისევ განახლდება), უკვე გაწეული სამუშაოები წყალში გადაყრილი აღმოჩნდება და ტურიზმიდან შემოსული მოგების იმედიც ქიმერად გადაიქცევა.

და მაინც, მთავარი სხვა რამეა – ავტოტრანსპორტით შემოტანილი ხორბლის ხარისხი.

ვამბობ სრული პასუხისმგებლობით – საკვები პროდუქტების უვნებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთიდან ავტოტრანსპორტით შემოტანილი ხორბლის ნდობა კატეგორიულად გამორიცხულია!

დავიწყებ იმით, რომ ნებისმიერი ქვეყნიდან ნებისმიერი ოდენობითა და ნებისმიერი ტრანსპორტით შემოტანილ ხორბალს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები: 1. ზედდებული; 2. ფიტოსანიტარული სერტიფიკატი; 3. ექსპორტის დეკლარაცია; 4. ინვოისი; 5. ხელშეკრულება; 6. ხარისხის სერტიფიკატი 7. წონის სერტიფიკატი; 8. დეზინფექციის (სისუფთავის) სერტიფიკატი; 9. რადიოლოგიის სერტიფიკატი; 10. ფუმიგაციის სერტიფიკატი; 11. წარმოშობის სერტიფიკატი; 12. გენმოდიფიცირების სერტიფიკატი; 13. შესაბამისობის სერტიფიკატი; 14. შეძენილი თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი საბუთი.

ტრაილერების მძღოლები (მფლობელები) რუსეთში ხორბალს საერთაშორისო საბაზრო ფასებთან შედარებით იაფად ყიდულობენ უშუალოდ მწარმოებლებისგან; ხშირად, პირდაპირ მინდორში ან პრიმიტიული, სახელდახელოდ მოწყობილი საცავებიდან.

სწორედ ამის გამო მათ მიერ საქართველოში შემოტანილ ხორბალს ახლავს აქ ჩამოთვლილიდან მხოლოდ პირველი ხუთი დოკუმენტი (რაც საკმარისია ტვირთის გადასატანად) და არ ახლავს დანარჩენი ცხრა (რაც აუცილებელია მისი საკვებად გამოყენების დასადასტურებლად). კერძოდ, არ ახლავს და არც შეიძლება ახლდეს ფუმიგაციის სერტიფიკატი, რომელიც გამორიცხავს ტვირთში (ხორბალში!) ცოცხალი მავნებლების არსებობას; რადიოლოგიის სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ტვირთი არ არის რადიაციული; სატრანსპორტო საშუალების დეზინფექციის დოკუმენტი; წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ხორბალი არ არის მოყვანილი რომელიმე ატომური სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან (როგორც ჭორაობენ, ატომური სადგურები, თურმე, რუსეთშიც კი ბევრი ყოფილა!); თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის არარსებობა ადასტურებს, რომ შემოტანილი ტვირთი, შესაძლოა, იყოს ნაქურდალი...

ვფიქრობ, ახლა გასაგები უნდა იყოს, რატომ ვერ ხერხდება ხორბლის თუნდაც მინიმალური ოდენობის სახელწიფო სტრატეგიული მარაგების შექმნა – დასნებოვნებული, საეჭვო წარმოშობის, კერძო პირებისგან „ლევად“ შეძენილი და საეჭვო ტრანსპორტით შემოტანილი ხორბლისგან მარაგების შექმნა კანონით აკრძალულია. მეორე მხრივ, თავისი ხალხის, თავისი ოჯახების და თუნდაც საკუთარი თავის პატივისმცემელი ხელისუფლება ამას ვერ გააკეთებდა და არც გაუკეთებია.

თუმცა, მარაგები აუცილებელია და იგი უნდა შეიძენას, თანაც დღესვე. მსოფლიოში და საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ეს ცხადად დაგვანახა. ერთადერთი გზა მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, „ხორბლის გზის“ ტრადიციულ სარკინიგზო მაგისტრალზე დაბრუნებაა.

ვიცი, ბევრს არ ესიამოვნება, იქნებ ქართული ავტოსატრანსპორტო ბიზნესისა და მომძე სომეხი ხალხის მტრადაც გამომაცხადონ, მაგრამ მაინც უნდა ვცადო და ვუპასუხო კითხვას, რატომ შეიცვალა საქართველოში ხორბლის შემოტანის ტრადიციული სარკინიგზო მაგისტრალი ვიწრო და უხერხული საავტომობილო გზებით.

როგორც ჩვენი მოძმე სომხები და მათი ჩვენებური ხორბლისმიერი ძმები ამტკიცებენ, ხორბლის ტრაილერებით ტრანსპორტირება მათთვის უფრო მოსახერხებელია და, რაც მთავარია, უფრო იაფი ჯდება. სამწუხაროდ, უნდა დავეთანხმოთ – ტრაილერის მეპატრონე რუსეთში კერძო პირისგან ყიდულობს აღურიცხავ (მშობლიური საბჭოთა ტერმინოლოგიით, „ლევ“) ან, სულაც, ნაქურდალ საქონელს, რომელსაც არ ახლავს ზემოთ ნახსენები სერტიფიკატები. ასეთი საქონელი საერთაშორისო საბაზრო ფასებთან შედარებით 15-20 პროცენტით იაფი ჯდება; „ტრაილელურ ბიზნესს“ კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის დამატებითი ღირებულების გადასახადის გადაუხდელობის რეალური შესაძლებლობა (რის გამოც ამჟამად 25-მდე ასეთი „ბიზნესმენი“ მსჯავრდებულია ფინანსური მაქინაციებისთვის); თითქმის ყველა ტრაილერზე დამონტაჟებულია დამატებითი ავზები, რაც რუსეთში შეძენილი იაფად ღირებული საწვავით არამარტო ორივე მიმართულებით მოგზაურობას უზრუნველყოფს, არამედ საქართველოსა და სომხეთში ნამეტი საწვავის სარფიანად გაყიდვის შესაძლებლობასაც იძლევა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი გზით მხოლოდ სომხეთში წლიურად შედის 300 000 ტონა მარცვლეული, მოკრძალებული გაანგარიშებით „ტრაილელური ბიზნესის“ მოგება 25-დან 30 მილიონამდე აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს.

რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, რომ მთელი ეს თანხა მძღოლების ჯიბეში მიდის. სამაგიეროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით 2018 წლის ზაფხულიდან განვითარებული მოვლენები მაფიქრებინებს, რომ ამ დანაშაულებრივ ბიზნესს სომხეთშიც და საქართველოშიც საკმაოდ ძლევამოსილი მფარველები უნდა ჰყავდეს.

ორიოდე ფაქტს შეგახსენებთ.

2018 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ივანე მაჭავარიანმა გამოსცა ბრძანება **„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ წესებში დამატების შეტანის შესახებ“.**

ბრძანების თანახმად, ამავე წლის 15 სექტემბრიდან აიკრძალა ლარსის საბაჟოდან საქართველოს ტერიტორიაზე ხორბლეულისა და ფქვილის შემოტანა.

იმედია დამეთანხმებით, რომ ეს იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრ მაჭავარიანის, მთლიანად საქართველოს ხელისუფლების საკმაოდ თამამი და სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება, რასაც მყისიერად მოჰყვა სომხეთის ხელისუფლების საკმაოდ მწვავე რეაქცია და ტრაილერების მძღოლების საპროტესტო აქცია თბილისში (ერთმა მათგანმა თავის დაწვაც სცადა).

28 აგვისტოს სომხეთის პარლამენტში გამოვიდა დეპუტატი ედმონ მარუკიანი, რომელმაც დელიკატურად დაგმო მაჭავარიანის ბრძანება. მარუკიანს ოპერატიულად მხარი დაუჭირა ვიცე-სპიკერმა ედუარდ შარმაზანოვმა. ტელევიზიით გამოვიდა პრემიერი ნიკოლ ფაშინიანიც, რომელმაც ჩვენს გასაგონად მრისხანე მუქარები შეუთვალა აზერბაიჯანს და იმედი გამოთქვა, რომ ხორბლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, **„საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად გაითვალისწინებდა სომხურ ინტერესებს“.**

საბოლოოდ ასეც მოხდა, საქართველოს მაშინდელმა პრემიერმა მამუკა ბახტაძემ გაითვალისწინა ფაშინიანის შემონათვალი, საქართველოს ინტერესებთან ერთად ფეხებზე დაიკიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მართლაც მამულიშვილური გადაწყვეტილება და მისი ბრძანება ჯერ შეაჩერა, მერე, საერთოდ, გააუქმა.

საქართველოს დღევანდელმა პრემიერ მინიტრმა გიორგი გახარიამ უკვე ბევრჯერ დაამტკიცა, რომ თავის სახელისუფლებო გუნდთან ერთად არის საუკეთესო კრიზისმენეჯერი არა მარტო საქართველოს მასშტაბით. ამას აღიარებს მსოფლიო თანამეგობრობაც.

სწორედ ეს და ბოლო დროს ამ საჭირბოროტო თემაზე მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით წამოწყებული დებატები მაიმედებს, რომ უახლოეს მომავალში პრემიერი გიორგი გახარია მთლიანად ქვეყნის ხელისუფლების მხარდაჭერით მიიღებს საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ გადაწყვეტილებას – ხორბლით მომარაგებას ტრადიციულ რელსებზე დააბრუნებს. ამით სამუდამოდ აგვაშორებს ქვეყანაში სტრატეგიული მარაგების გაქრობისა და ქართულ „დედას პურში“ რუსული ბაცილების არსებობის საფრთხეებს.

და კიდევ, ეს გადაწყვეტილება არ გააძვირებს პურის ფასს, მაგრამ ალბათ გააკოტრებს პურის სომხურ-ქართულ მაფიას.

თეიმურაზ ძორიძე,
30. 04. 2020 წელი

„ქართველს ქართველზე დიდი მტერი არც არასოდეს არა ჰყოლია“

ანუ, იმის თაობაზე, თსუ-ში „ილიოლოგთა კლუბის“ დამფუძნებელი როგორ „წიხლავს“ ყველაზე გამორჩეულ ილიელს, აწ უკვე სამოთხეში დამკვიდრებულ ქრისტესმიერ ზვიად გამსახურდიას

(პირველი გვერდიდან) აი ასე, სრულიად მარტივად, ცალი ხელის მექანიკური მოძრაობით (და არა — გონისა თუ ჭკუის მოხმობით...) თავისი აზრით, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა დიდი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების გამორჩეულ ბაირახტარს და პრაქტიკულად განმახორციელებელ — ღვთივკურთხეულ ზვიად გამსახურდიას საკაცობრიო მნიშვნელობის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას.

იქნებ, ვაჭარბებ რამეს, თავად იხილეთ, ძვირფასო მკითხველო, ბატიაშვილის „შედევრი“:

„...პოლიტიკა რთული ხელოვნებაა, ცივი და გამჭრიახი გონებით, შორსმჭვრეტელური და განსაკუთრებული ლოგიკით უნდა თითოეული სვლის გაკეთება. სხვანაირად დაღუპავ თავსაც და ქვეყანასაც, როგორც ეს პირველ პრეზიდენტს დაემართა. გლობალიზმი და ყოვლისმომცველი ინტეგრაციული პროცესები კიდევ უფრო ართულებს ყოველივე ამას. ეს მარტო საგარეო პოლიტიკას არ ეხება. საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერთი ხის ორი ნაყოფია და აქაც ამ ოცდარვა წელმა და მეტმა პრობლემები კი არ მოხსნა, კიდევ უფრო გაგვიმრავლა“!!! (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2020 წ. 18-24 მარტი, №10, გვ. 18, „როცა ჩვენი დღევანდელი“ ცხოვრების ნებისმიერი პრობლემის პასუხს სხვაგან ვეძებთ. რუბრიკაში — „მწარე სიმართლე“, რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე).

აი, ბატონებო! ასე მსჯელობს პოლიტოლოგიის პროფესორი, დოქტორი, თსუ-ის „ილიოლოგთა კლუბის“ დამფუძნებელი ე. ბატიაშვილი, რომელიც თავს ისე წარმოაჩენს, თითქოს იოტისოდენა წარმოდგენაც კი არა ჰქონდეს ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოღვაწეობისა და საერთოდ ზეადამიანური ცხოვრების შესახებ, აქვს, განა არა აქვს, მაგრამ ცდილობს თავისი აკვიატებული და სამარცხვინო აზრი — „ქვეყნის დამღუპველის“ სახელი დაუმკვიდროს ზვიადს და ამით დამნაშავე ანტიქართველთა ხროვას, თუნდაც მორალური პასუხისმგებლობა მოუხსნას. დიახ! ეს არამზადები საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამმხობნი და პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელები, დიდი ილიას მკვლელების უშუალო მემკვიდრეები არიან და სწორედ ამიტომ მიიტანეს იერიში თანამედროვეობის გამორჩეულ ილიელზე.

და, მაინც, საკაცობრიო მნიშვნელობის კითხვა: „ვინ დაღუპა პირველი პრეზიდენტი და ქვეყანა?!“ — ბრბომ, ასეთია მოკლე პასუხი, უფრო ვრცლად კი, საყოველთაო აღიარებით, საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ შეკოწიწებულმა უბოროტესმა კოლონამ, რომელშიც თავი მოიყარეს ყოფილმა ნომენკლატურულმა „მუშაკებმა“ და ე.წ. ინტელექტუალებმა, უმეცარ-უწიგნურებმა, მეცნიერთა და ხელოვანთა ე.წ. ელიტამ თუ ბნელიტამ და შავი სამყაროს „რამკიანმა ქურდებმა“, „პარლამენტის მიღმა დარჩენილმა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა და ხულიგანმა, „ძველმა ბიჭებმა“, მოღალატე გვარდიელებმა და რუსის გაწვრთნილმა ჯარისკაცებმა, გზასაცდენილმა მოქალაქეებმა და „მხედრიონელებმა“ და მისთანებმა (აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე**, „ავაჰმე, ჩემო მამულო!...“, თბ., 2007, გვ. 26). აქვე, ჩვენდა სამარცხვინოდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა ე.წ. სუფთა ქართველმა გაითვალისწინა პრეზიდენტის „მეგრულძირობა“ და აქტიურად შეუერთდა სამშობლოს წინააღმდეგ აჯანყებულ ბრბოთა რიგებს. ამის ერთ-ერთი ოფიციალური დასტურია იმ დროს გაურკვეველ ოპოზიციასა თუ პოზიციაში მყოფი ანტიზვიადისტის — პოეტ იზა ორჯონიკიძის დანანებითი „აღიარებითი ჩვენება“, რაც მაშინდელ პრესაშიც გაჟღერდა: „ქართველების გარკვეულმა ნაწილმა, სამწუხაროდ, ვერ ვიგუეთ მეგრული წარმოშობის პიროვნების პრეზიდენტობა და მივიღეთ საქართველოსთვის სავალალო შედეგი (მას, ალბათ, მოაგონდა დიდი მეცნიერის, აკად. აკაკი შანიძის ბრძნული და დროული მინიშნება — „სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ის, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა“).

პუტჩის შემდეგ ქვეყნის მართვის სადავეები ხელთ იგდო უკანონო სამხედრო საბჭომ, გარეწარი ტრიუმვიტარის სახით — იოსელიან-კიტოვან-სიგუას შემადგენლობით. და, „სავსებით დამსახურებულად“, რამეთუ ამ ბანდამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს მორიგ ტრაგედიაში.

აი, ასეთია ჩვენი სამშობლოს მწარე სინამდვილე, აი, ვინ „დაღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი და თვით ქვეყანა“, ელბერდ ბატონო!

ვინ, ვინ და, ზვიად გამსახურდიამ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ შესაძლოა იყო გამარჯვებული, მაგრამ ულირსი; ან პირიქით, დამარცხებული, მაგრამ ღირსეული. „დამარცხებულია“, მაგრამ ღირსეულმა პრეზიდენტმა სიცოცხლეშივე, და კიდევ უფრო მეტად — გარდაცვალების (!) შემდეგ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე მსოფლიო მასშტაბით, საყოველთაო აღიარება ჰპოვა. უწინარესად ბატიაშვილის საყურადღებოდ, მოვიყვან მრავალთაგან რამდენიმე ღირსეული პიროვნების მიერ პრეზიდენტის მოღვაწეობის შეფასების ფრაგმენტებს.

მუხრან მაჭავარიანი (დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ეროვნული ხელისუფლების დროს): „ზვიად გამსახურდია იყო საქართველოსთვის წამებული პრეზიდენტი ... იგი ამავე დროს იყო მომავლის განმჭვრეტელიც, თავდადებული და თავგანწირული. სხვა ასეთ პიროვნებას მე არ შევხვედრივარ, არ ვიცნობ. მან ყველაზე უფრო იცოდა საქართველოს მადლი და, როგორც სანთელი, დაიწვა სამშობლოსთვის.

ელიზბარ ჯაველიძე (აკადემიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს განათლების მაშინდელი მინისტრი): „გაუგებარ ვითარებაში მოკლეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ჭეშმარიტი მამულიშვილი ზვიად გამსახურდია. სწორედ მისი, როგორც ერისთვის თავდადებული ქართველისა და ქვეყნისთვის თავისუფლების მომტანი რაინდის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება არ აპატიეს ქართველ ხალხს!!!“

ჯოხარ დუდაევი (ჩეჩნეთის პრეზიდენტი): ზვიად კონსტანტინეს ძე წავიდა ამ ცხოვრებიდან, გააკეთა რა ყოველივე, რისი გაკეთებაც შეეძლო საქართველოსა და კავკასიისთვის. მან თავი გადადო საქართველოსა და კავკასიის ხალხთა პატიოსნების, სინდისის, ღირსების, მათი უფლებების დაცვისთვის. ზვიადი ჩვენი დროის უგენიალურესი პიროვნება იყო“.

იგორ კვესელავა (პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩეველი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): „ზვიად გამსახურდია განსაკუთრებული აზროვნებისა და მონაცემების პიროვნება იყო. ვერცერთი მისი მხარდამჭერი და თანამებრძოლი, ვერცერთი ქართველი პოლიტიკოსი ზვიადის აზროვნების ხარისხსა და დონეს ვერ შესწვდა. ზვიადის გონიერებაში, მის აზროვნებაში ძალიან ბევრი რამ იხარშებოდა... ზვიად გამსახურდიას არც უფიქრია პრეზიდენტობაზე და მით უმეტეს, არც პატრიარქობაზე. მას საერთოდ პირველობა არ უნდოდა!!!

ალბათ, საკმარისია, მსგავს შეფასებებს ფოლიანტებიც ვერ დაიტევს. რაც მთავარია, ზვიად გამსახურდიამ ქართველთა ბრძოლას თავისუფლებისთვის ქრისტეს გზა, ილიას გზა... უწოდა (სადაც სულ მალე, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის აღიარებით, ილიას გვერდით, ზვიადის სახელიც დამკვიდრდა) და ერს ქართველობის ღრმად შეგნების გრძნობა კიდევ ერთხელ გაუღვივა.

ზვიად გამსახურდიამ, თავისსავე გამითებულ აღსასრულს, შეგნებული ცხოვრების დასაწყისშივე ჩაუყარა საფუძველი, არ შეცვალა საკუთარ არეში საუკუნეებიდან გადმოვანებული ისტორიის ბედისწერით გადმოცემული კოდი თავდადებისა. იგი წერდა: „საქართველო ფენიქსია... მთავარია ჩვენ არ დავკარგოთ იმედი და გულხელი არ დავიკრიფოთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვებთ“. დიახ! ზვიადი იყო ერის თვითმყოფადობის ილიასეული იდეის უერთგულესი მსახური. როგორც მწერალმა, მეცნიერმა, ლიტარატორმა, პოლიტიკოსმა, ქრისტესმიერმა პიროვნებამ, თანამედროვეთა შორის ყველაზე ღრმად და ყოვლისმომცველად იცოდა ღვთაებრივი სამყაროსკენ კაცობრიობის გზის შესახებ, რომელი მრწამსისთვის მას არასოდეს ულალატია. ზვიად გამსახურდია იყო უკიდეგანო აზროვნების და ზეგარდმო ნიჭის პიროვნება, რომლის ცხოვრება და შემოქმედება მრავალწახნაგოვანი, ყოვლისმომცველი და ღრმად შინაარსიანია, რომელშიც წვდომა და სიღრმისეული გაგება თვით ბრძენ კაცებსაც კი გაუჭირდებათ. მისი ნიჭის ელვარება და გენიალურობა, უდავოდ, კაცობრიობის სულიერების ყველაზე დიდი ენციკლოპედიის — „ბიბლიის“ აღთქმებისა და საიდუმლოებების უძირო სიღრმეების არეში წვდომა და გათავისებაცაა. ზვიად გამსახურდია ერის მხსნელად და წინამძღოლად ხომ უფალმა მოგვივლინა, მაგრამ სწორედ ამის გამო, იგი მსოფლიოს უბოროტესი ძალების სამიზნედ იქცა და „ამ ღვთისგან წარმოგზავნილმა, მოწამეობრივად გაიარა გზა, რომელიც საოცრად ჰგავს ქრისტეს მიერ განვლილ გზას“ (გიორგი კერვალიშვილი). ზვიადის მრწამსით, ულმერთობა საკაცობრიო დანაშაულია, „ჯოჯოხეთიც კეთილ ქრისტესთან“ — ამ მრწამსს ის ფიზიკურად შეეწირა, მაგრამ სამოთხისეული მარადისობის რჩეულთა შორის დამკვიდრდა და იქიდან მოძღვრავს ღვთისმშობლის წილხვედრ თავის სანუკვარ სამშობლოს იმ რწმენით, რომ საქართველო გამთლიანდება და უსათუოდ გაბრწყინდება. აი, რატომ არის ზვიად გამსახურდია „ქვეყნის დამღუპველი“ კი არა — გამორჩეული ილიელი!

რევაზ გოგოხია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ეროვნული ხელისუფლების დროს.
ტელ: 599 10 38 16

ცეცხლში ნაწრთობი ბატალიონი

ულმობელია დრო. მიდის, მდინარებს და გუშინდელს ისტორიად აქცევს, გვაშორებს იმ მარადსახსოვარ, დიდებულ დღეს, რომელიც განსაკუთრებულად ჩარჩათ მეხსიერებაში მილიონებს. აი, უკვე 75 წელი გავიდა 1945 წლის 9 მაისიდან. თითებზე ჩამოსათვლელნი შემოგვრჩნენ გამარჯვების გამომჭედნი.

დღევანდელი თაობებისთვის ძნელი წარმოსადგენია, რა ხდებოდა ამ დღეს განუწყვეტელი სისხლის ღვრით, რბევით, ტკივილით გატანჯულ მსოფლიოში, რა გულმხურვალედ ზეიმობდა ძაძებში ჩაყურსული საქართველო, რომელმაც 700 ათასამდე მებრძოლი გაგზავნა ომში და მათგან თითქმის ნახევარი უკან არ დაბრუნებია. ქართველები იბრძოდნენ ყველა ფრონტზე, ყველა უბანზე – მიწაზე, ზღვასა თუ ჰაერში, ცეცხლის წინა ხაზზე თუ მტრის ზურგში.

გამარჯვებას სჭედდნენ ქართველი უმაღლესი მთავარსარდალი – გენერალისიმუსი თუ მარშალი, ორი გენერალ-პოლკოვნიკი – არმიათა სარდლები, 24 გენერალ-ლეიტენანტი, 60 გენერალ-მაიორი, 90-ზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი...

ბრძოლაში მთელი ოჯახებით იყვნენ ჩაბმულნი. იბრძოდა 7 ძმა გიორგობიანი, 6 ძმა კობეშავიძე, 5 ძმა ფერაძე, ჩხაიძე, ჭანტურიძე,ბაგაშვილი, კობაიძე, 4 ძმა ბერიძე, გელენიძე, კაციტაძე, ლესელიძე, ლაბაძე, მაჩალაძე, ხაჩიძე, 3 ძმა კანაჩაძე, ლორთქიფანიძე, ლოსაბერიძე, მორჩილაძე, ნადირაძე, სტეფნაძე, ქირია, ჯაჭვაძე, ხეცურიანი... „სახლში არავინ არის, ყველანი ფრონტზე წავიდნენ“ – დააწერეს გამოკეტილი ბინის კარს თბილისელმა გრიგოლ მერკვილაძემ, მისმა მეუღლემ – ექიმმა ვალენტინამ და ვაჟებმა შოთამ, გივიმ და თენგიზმა...

საქართველოს ეზეიმება 9 მაისი და ზეიმობს კიდეც, თუმცა ისტორიის გადაფასებით გართული ზოგიერთი „პოლიტიკოსი“ როდი აღიქვამს ამ დღეს სათანადო პატივით. არადა, „ამოსავალი წერტილი“ არ შეცვლილა: მსოფლიო ეომებოდა მიხაკისფერ ჭირს და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში მამაცურად იბრძოდნენ ქართველებიც, ეს ომი მათი ომიც იყო. აი რატომ არის დასაფასებელი და პატივმისაგები თანამოძმეთა ღვაწლი, მათი დაღვრილი სისხლი.

მამაცურად იბრძოდა ომში დიდჯიხაიშელი (სამტრედია) სიმონ კობეშავიძის ექვსი ვაჟი: შალვა, გრიგოლი, გალაქტიონი, ვასილი, შოთა და ვახტანგი. მეომრული შემართებით ისახელეს თავი. განსაკუთრებით გამორჩეული იყო გრიგოლის საბრძოლო გზა. სწორედ ამის შესახებ მინდა ვუამბო მკითხველს.

გრიგოლი 1912 წელს დაიბადა, იგი 9 და-ძმას შორის მეორე იყო. შრომითი საქმიანობა 1933 წელს დაიწყო ხონის საოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ – კასპის რაიონის ჭალის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ. მერე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა ფრიადზე და 1940 წელს 28 წლის ინჟინერი რუსეთში გაამწესეს: ქ. ბოროვიჩში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დაინიშნა სამუშაოთა მწარმოებლად. აქ მოუსწრო ომმა. ოღონდ უმაღლ ბრძოლაში არ ჩაბმულა. სამხედრო პოლიტიკური აკადემიის კურსებზე გადაამზადეს და ექვსი თვის შემდეგ უფროსი პოლიტხელმძღვანელის სამხედრო წოდებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის 76-ე საზღვაო ქვეითთა ბრიგადის ერთ-ერთი მესანგრეთა ბატალიონის კომისრად დაინიშნა.

პირველსავე ბრძოლაში სადგურ მატვეევკის ყორღანთან ბატალიონის დაჭრილი მეთაური შეცვალა და შეტევის წარმატება უზრუნველყო. მებრძოლები აღაფრთოვანა ქართველი კომისრის უშიშრობამ და საბრძოლო ხელოვნებამ. აქედან დაიწყო მისი, როგორც მეთაურის, ბიოგრაფია.

როსტოვის მისადგომებთან ბრძოლაში სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისთვის პირველი ჯილდო – „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი მიიღო, ხოლო ტუაფსესთან ბრძოლებში გამოჩენილი პირადი შემართებისთვის-მედალი „მამაცობისთვის“.

იქ ფეხში დაიჭრა, გამოჯანმრთელების უმალ კვლავ წინა ხაზს დაუბრუნდა უკრაინის პირველი ფრონტის 47-ე არმიის საინჟინრო ბატალიონის მეთაურის მოადგილედ. მდინარე დნეპრის გადალახვისას უწყვეტი საჰაერო და საარტილერიო ცეცხლის ქვეშ საბორნე გადასასვლელი გამართა და ბოლომდე შეუფერებლად „ამუშავა“, რისთვისაც სამამულო ომის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

მალე გრიგოლ კობეშავიძის ბატალიონი ბელორუსიის პირველი ფრონტის განკარგულებაში გადავიდა, მონაწილეობა მიიღო ბობრუისკის დაჯგუფების განადგურებაში, შემდეგ სლუცკისა და ბრესტის მისადგომების განთავისუფლებაში. შეუჩერებლად გადალახა მდინარე ბუგი და სხვა შენაერთებთან ერთად გაიჭრა დასავლეთის მიმართულებით, გზადაგზა ბევრი დასახლებული პუნქტი გაწმინდა მომხდურთაგან და კვლავ სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

მტრის ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციების გადატანის შემდეგ ცეცხლში ნაწრთობმა ბატალიონმა მამაცურად იბრძოლა ქალაქ გუმბინენთან, ნავსადგურ პელაის მისადგომებთან, კენიგსბერგის შტურმის დროს ბატალიონის მეთაურის მოადგილემ გრიგოლ კობეშავიძემ კვლავ ისახელა თავი.

და აი, წინ ბერლინია! ბატალიონი აქტიურად ჩაება ფაშიზმის ციტადელის განადგურების ოპერაციაში. ერთ-ერთი მიმართულებით გრიგოლმა ოსტატურად მოაწყო გადასასვლელი მდინარე შპრეეზე, რითაც ფასდაუდებელი დახმარება გაუწია თანამებრძოლებს.

ამჯერად სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დაიმშვენა მკერდი. ბერლინის ოპერაციის შემდეგ წილად ხვდა პრაღაში ფაშისტთა ნარჩენის – გენერალ შერნერის შენაერთის შემუსვრა.

გრიგოლ კობეშავიძის საფრონტო ყოველდღიურობის ამსახველი ერთ-ერთი ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია თუ როგორ ხელმძღვანელობს იგი მესანგრეებს ჭაობიან ნიადაგზე ხის განძელების დაწყობაში ტანკების გასატარებლად უკრაინის პირველი ფრონტის შემადგენლობაში 1944 წელს, მოხვდა ისეთ ავტორიტეტულ გამოცემებში, როგორებიცაა „სსრ კავშირის დიდი სამამულო ომი. მოკლე ისტორია“ (მოსკ. 1965 წ.) და „მეორე მსოფლიო ომის ისტორია“. VIII ტ. (მოსკ. 1977 წ.). მის საბრძოლო დამსახურებას მაღალი შეფასება აქვს მიცემული გენერალ გიორგი ყურაშვილის წიგნში „ძმათა სისხლით“ (თბ. 1972 წ.).

მამაცმა ოფიცერმა გრიგოლ კობეშავიძემ ბრძოლით გაიარა ჩრდილოეთ კავკასია, ტამანის ნახევარკუნძული, უკრაინა, ბელორუსია, პოლონეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია. დაჯილდოვდა 5 ორდენითა და 17 მედლით, უმაღლესი მთავარსარდლის მადლობებით. მისი მხედრული ჯილდოები გამორჩეულია: ქართველ ოფიცერთა შორის თითებზე ჩამოსათვლელნი არიან 4 სამამულო ომის ორდენის კავალრები.

ომის დამთავრების შემდეგ გრიგოლ კობეშავიძის სამხედრო სამსახური არ დასრულებულა, საინჟინრო ჯარში დატოვეს ომით დანგრეული ქვეყნის აღსადგენად. ნაყოფიერად მონაწილეობდა სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობაში ამიერკავკასიასა და რუსეთში. მათ შორის იყო სამხედრო აეროდრომები მოსკოვის ოლქსა (აპრელევკა) და ვოლგაზე (ქ. ენგელსი) სადაც დღესაც ბაზირებულია რუსეთის სტრატეგიული ავიაცია.

1958 წელს პოდპოლკოვნიკი გრიგოლ კობეშავიძე თადარიგში გავიდა და სამშობლოში დაბრუნდა. სამოქალაქო სამსახურშიც წარმატებული იყო. 1989 წლამდე საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ქვეგანყოფილების უფროსად მუშაობდა.

გარდაიცვალა 2003 წლის 23 თებერვალს, 91 წლისა. დარჩა დიდებული ოჯახი. მისი ერთადერთ ვაჟი მამის გზას გაჰყვა – ოფიცერი გახდა. აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს არმიის მშენებლობაში. პოლკოვნიკი სოსო კობეშავიძე ამჟამად თადარიგშია.

დღეს გამარჯვების 75-ე იუბილეა. სავსე ფიალებით ვახსენოთ ამ დღესასწაულის გამომჭედი გმირები. არდავიწყება მათ სახელებს, ნათელი მათ ხსოვნას!

ალეკო ასლანიშვილი

„არიერგარდი“ ომის ვეტერანებს ულოცავს!

75 წელი გასრულდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან. საქართველოდან გაწვეული 700 ათასი მეომრიდან ომმა თითქმის ყოველი მეორის სიცოცხლე შეიწირა. როგორც შინმოუსვლელთა, ისე დაბრუნებულთა შორის მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წინსვლა- განვითარებაში.

„აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“, ქედს იხრის მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ჩვენ თანამემამულეთა ხსოვნის წინაშე. ამასთან, გამარჯვების 75 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს, ჯანმრთელობას და კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს ომგამოვლილ, უკვე მხცოვან გმირებს.

გურამ სალარაძე,

ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე.

ცხინვალში საბჭოთა კავშირის დროშა ფრიალებს

ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ საოკუპაციო ხაზთან საბჭოთა კავშირის დროშა აღმართა. ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედიასაშუალებები ავრცელებენ.

საოკუპაციო რეჟიმი ამ გადაწყვეტილებას მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივისცემით ხსნის და ომს რუსეთის მსგავსად „სამამულოს“ უწოდებს. დე ფაქტო უშიშროება თავის განცხადებაში ამტკიცებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ე.წ სამამულო ომის „სულიერ-იდეოლოგიური შედეგების პოლიტიკურ რევიზიას ცდილობს“.

დევნილ ოჯახებს დახმარება გადაეცათ

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის რწმუნებულმა არჩილ ჯაფარიძემ ონსა და ცაგერში, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებ დევნილ ოჯახებს საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებები გადასცეს. ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დევნილთა სააგენტოს დირექტორი და მხარის რწმუნებული იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელ პირობებს ადგილზე გაეცნენ და მათი პრობლემები მოისმინეს. სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა დევნილ ოჯახებს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და ინფრასტრუქტურული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, ამხანაგობების შექმნის რეკომენდაცია მისცა.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სურსათისა და ჰიგიენური საშუალებების ნაკრები ჯამში 29 დევნილ ოჯახს გადაეცა.

2020 წლის პირველმა ხუთმა თვემ მართლაც, რომ ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიოში არსებული ვითარება. ტრანსფორმაციის მთავარი შემოქმედი – უხილავი ვირუსი, „კოვიდ-19“-ად წოდებული, გიგანტური ნაბიჯებით დააბიჯებს დედამიწაზე და განურჩევლად სქესისა, კანის ფერისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, სოციალური სტატუსისა და სხვა მრავალი ფაქტორისა, მუსრს ავლებს ღმერთის ქმნილება ადამიანს. ამ უთანასწორო ბრძოლაში ბირთვული თუ წყალბადის ბომბებით კბილებამდე შეიარაღებული სახელმწიფოები ზედმიწევნით ავლენენ თავიანთ უსუსურობას დაუნდობელი ვირუსის მიმართ და თავის გადარჩენას მხოლოდ უფალს ევედრებიან.

შხამის გავრცელებაში მედია კორონავირუსს ეჯიბრება...

რით დამთავრდება დაპირისპირებულ მხარეთა პაექრობა?

სხვა საშუალება მას არ გააჩნია. ვიღას ახსოვს პოლიტიკა, რეგიონული ომები, რელიგიური ქიშპი, ტერორისტული აქტები, დიდი თუ პატარა ქვეყნების ამბიციური სულისკვეთება, გეგმები, მეგაპროექტები, კოსმოსი...

სულ რაღაც 5 თვეში ისტორიას ჩაბარდა მსოფლიოს პირველი ქვეყნის პროექტები ჰეგემონიზმის განსამტკიცებლად ან მისი მეტოქე რუსეთის მიერ შემუშავებული ეკონომიკური პროექტები, რომელთა მიხედვითაც მას მყარად უნდა დაეკავებინა მე-3, მე-4 ადგილი ეკონომიკურად განვითარებულ მსოფლიოს ქვეყნებს შორის.

ისეთ დაგეგმილ ღონისძიებასაც კი, როგორიცაა ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნა, ნაკლები შემართებით მოეკიდნენ. არადა, რა გრანდიოზულ ზეიმს გვპირდებოდა რუსეთის ხელისუფლება!..

რუსეთში 12 მაისამდე გამოცხადებული კარანტინი არათუ ზეიმის, ქუჩაში გასვლის საშუალებასაც კრძალავს. მაინც რა ძალა ჰქონია უხილავ, მიკროვირუსს და მასთან ერთად მედიას ხალხის ცხოვრებაში!

სწორედ მედიამ მიგვაჯაჭვა ტელეეკრანებს და კორონავირუსით დაშინებულ-დაოსებული, შინჩაკეტილი, მოჭარბებული ინტერესით ვუყურებთ ვირუსით დაინფიცირებულთა და გარდაცვლილთა ცხრილებს – ქვეყნებისდა მიხედვით. იმედი გვესახება, როდესაც იტალიაში, ესპანეთში, სხვაგან პიკს მიღწეულმა დაავადებამ იწყო კლება, რასაც კარანტინის მცირედი შემსუბუქება მოჰყვა, მაგრამ იმავე წუთს იმედი გვიცრუვდება, როდესაც სხვაგან, მათ შორის ჩვენს მეზობლად, საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ.

ჩვენ უკვე შევისწავლეთ მარტივი გაკვეთილი, კორონავირუსის მიერ „მოცემული“ საშინაო დავალება – პანდემია ჩაქრობისკენ მაშინ იზამს პირს, როდესაც ყველგან, და არა მარტო ერთგან, დაავადების მწვერვალიდან დაიწყებს დაშვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ისეთი სიმბოლური სახე ექნება, როგორიც ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილებას – საზღვრის გახსნის თაობაზე, მაშინ, როდესაც მეზობლებს საზღვრები ჩაკეტილი აქვთ!

კორონავირუსით სახლში გამოკეტილი შეშინებული ადამიანი, ნანატრი თავისუფლების მოპოვების შემდეგაც, მენტალური კარჩაკეტილობით იცხოვრებს, რომელიც დაუძლეველ ბარიერად აღიმართება მასა და თავისუფლებას შორის.

ვერ გავიზიარებ ზოგიერთი ოპტიმისტის მოსაზრებას, რომ რამდენიმე თვის შემდეგ კაცობრიობა ძველებურ ცხოვრებას დაუბრუნდება, ხოლო ერთი წლის შემდეგ საერთოდაც არ გაახსენდება კორონავირუსით გამოწვეული უბედურება.

დიახ! ადამიანი ის არსებაა, მეტ-ნაკლებად რომ ივიწყებს გუშინდელს, მაგრამ თუ გუშინდელი სავალდებულო ე.წ. სოციალური დისტანცირება ჩვენს ტვინებში იქნება, მისი დავიწყებაც შეუძლებელია. ბოლოს და ბოლოს, ასე არ დავუმოძღვრივართ კორონავირუსს და მასთან ერთად იმ ძალას, რომელსაც ზეადამიანურს უწოდებენ.

ასეთ პირობებში ძნელია, ყურადღება არ მიაქციო ნობელის პრემიის ლაურეატის, ფრანგი ვირუსოლოგის ლუკ მონტანიეს სიტყვებს: „ვირუსი ბუნებრივად არ წარმოქმნილა. ეს, მოლეკულური ბიოლოგიის ნახელავია. რა მიზნით გაკეთდა ეს, ჯერჯერობით უცნობია. ჩემი საქმეა, წარმოვადგინო ფაქტები. არავის ვადანაშაულებ. მე არ ვიცი, ვინ გააკეთა ეს და რისთვის“.

რა გამოდის? კორონავირუსი ბუნებრივად არ წარმოშობილა და ის ლაბორატორიაში შექმნეს?

ამ კითხვას ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები ვსვამთ, თორემ ღრმად პატივცემულ მეცნიერს და მის ბევრ ამერიკელ თუ ფრანგ კოლეგას, ისე, როგორც ექსპერტებს, ასეთი კითხვები არ ებადებათ, ვინაიდან დარწმუნებულები არიან კორონავირუსის ხელოვნურ წარმოშობაში.

ვიდრე ამ საკითხს შევეხებით, უნდა ვთქვათ, რომ დაავადება ხვალ თუ არა ზეგ, ჩაცხრება და სიკვდილს გადარჩენილი საზოგადოება დასვამს კითხვას – არის თუ არა კორონავირუსი „კოვიდ-19“ ხელოვნურად გაჩენილი და რას ემსახურება ის.

თუ კაცობრიობა ამ უსერიოზულეს, სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს სიღრმისეულად არ შეისწავლის და გამოიძიებს; თუ კაცობრიობა, მისთვის ჩვეული ზერელეობით მიუდგება ამ საკითხს, მაშინ ის დროდადრო დადგება ახალ-ახალი დაავადებების აფეთქების წინაშე.

კაცობრიობამ უნდა იცოდეს, ვინ გეგმავს მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას; ვინ თვლის, რომ დედამიწის მოსახლეობის ზრდას ვერ ეწევა სასურსათო უზრუნველყოფა, რისთვისაც ადამიანთა რაოდენობის შემცირებაა აუცილებელი და არა აუთვისებელი ყამირი მიწების ათვისება; რომ ეკოლოგიური პრობლემები თავისთავად ქმნის გაუსაძლის პირობებს – გვალვების, წყალდიდობების, ჰაერის დაბინძურების, სხვა ბუნებრივი მოვლენების სახით. ვინ ჩათვალა საკუთარი თავი ზესაზოგადოებრივ ქმნილებად, რომელსაც ხელეწიფება ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში მოურიდებელი ხელის ფათური – ნაღები საზოგადოების შესაქმნელად. რას ნიშნავს ნაღები საზოგადოება? კომპანია „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი ბილ გეიტსისთვის – დედამიწაზე მცხოვრები შვიდი მილიარდი ადამიანის ნაცვლად ერთი მილიარდის დატოვებით შეიქმნება ნაღები საზოგადოება? გეიტსი და მისი თანამოაზრენი საკუთარ თავს დარჩენილ ერთ მილიარდში მოიაზრებენ და არა 6-7 მილიარდში, ასერიგად რომ გაუყენეს საიქიოს.

ეს კითხვები გაუჩნდა ამერიკელებს, როდესაც ამ რამდენიმე დღის წინ დიდი ანტიგეიტსური მიტინგი გამართეს. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ გეიტსისგან წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემას. ჩვენი მიზანი არ არის ვინმეს დადანაშაულება, ჩვენი მიზანი ფაქტების მკითხველამდე მიტანაა, რათა მან შესაბამისი დასკვნები გააკეთოს.

გეიტსის მიერ გაჟღერებულმა იდეამ, რომელსაც კალიფორნიაში 2010 წლის დახურულ კონფერენციაზე ჰქონდა ადგილი, თავისთავად გაუჩინა ამერიკელთა გარკვეულ წრეს ასეთი ეჭვი – „კოვიდ-19“-ის შემქმნელი გეიტსია?

ამონარიდი კალიფორნიაში გეიტსის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან: „მსოფლიოში 6,8 მილიარდი ადამიანია. ეს რაოდენობა 9 მილიარდამდე გაიზრდება. თუ ჩვენ ჩავატარებთ სამუშაოს ახალი ვაქცინების შესაქმნელად, რეპროდუქციული ჯანდაცვის სფეროში, მოსახლეობა 10-15%-ით შემცირდება“.

არანაკლებ საყურადღებოა 2019 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკში ჩატარებული პანდემიური სწავლება, რომელიც ჰოპკინსის უნივერსიტეტს, მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმისა და ბილ და მელანია გეიტსების ფონდის მიერ იყო ორგანიზებული. იქ ახალი ვირუსის გავრცელების შესახებ იყო მსჯელობა: „ვირუსი ღამურებისგან გადადებათ ღორებს, მათგან ადამიანებს. ვირუსი სწრაფად გადადის ადამიანიდან ადამიანზე და იწვევს პანდემიას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქვეყანა შეძლებს ვირუსის შეკავებას, ის მაინც გავრცელდება. ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოახერხებს ვირუსის გაკონტროლებას. ყოველკვირეულად გაორმაგდება ინფიცირებულთა რაოდენობა, ისე, როგორც გარდაცვლილთა. გაუარესდება ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა. 18 თვის განმავლობაში კორონავირუსით 65 მილიონი ადამიანი დაიღუპება. პანდემია გაგრძელდება, სანამ არ შექმნიან ვაქცინას ან სანამ არ დაავადდება დედამიწის მოსახლეობის 80%-ზე მეტი“.

მართალია, სწავლების ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მათი მიზანი მსოფლიოს გაფრთხილებაა და არა მზაკვრული პროექტის განხორციელება, მაგრამ, როდესაც გეიტსის 2010 წლის გამოსვლას ვადარებთ 2019 წლისას, „გაფრთხილება“ უფრო თავის მართლებად მიგვაჩნია.

არანაკლები მნიშვნელობის იყო აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ძალისხმევა ეკოლოგიასთან მიმართებაში. ამ პარტიამ მიმართა აშშ-ის პრეზიდენტს – ეკოლოგიურად სუფთა ეკონომიკის შექმნის იდეით, რომლის მიხედვით, 2030 წლისთვის სასათბურე აირების ატმოსფეროში გამოყოფას ადგილი აღარ ექნება მთელი რიგი აკრძალვების დაწესების შედეგად. ამ პროექტებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გეიტსის ფონდს. პროექტის მიხედვით, უნდა აიკრძალოს თვითმფრინავების ფრენა, დაიხუროს ქარხნები, შემცირდეს ავტომანქანების მოძრაობა და ა.შ.

გავიხსენოთ შვედი თინეიჯერის გრეტა ტუნბერგის მოწოდება. განა „მისმა“ იდეებმა, კორონავირუსის წყალობით მავნე გამონაბოლქვებისგან არ გაწმინდა მსოფლიო?

ერთია ეკოლოგია, მეორე კი ეკონომიკა. ადამიანი ჰაერით ვერ გამოიკვებება, მას სურსათი სჭირდება, რომლის საწარმოებლად ხალხის სახლში გამოკეტვა საწინააღმდეგო შედეგს იძლევა.

თუმცა გეიტსის 2010 წლის იდეის მიხედვით, მილიარდამდე დასული მსოფლიოს მოსახლეობას სულაც არ გაუჭირდება თავის გამოკვება. როგორი იქნება ის – დარჩენილი მილიარდი? პასუხი – დამჯერი, შეშინებული, დისტანციურ ცხოვრებაზე ორიენტირებული.

კორონავირუსი და მედია შექმნის (მათ უკვე შექმნეს!) შიშის ატმოსფეროს და ხალხს სახლებში გამოკეტავს – თვეობით. გარე სამყაროსთან მას კონტაქტი ინტერნეტის საშუალებით ექნება. ნულის დონემდე შემცირდება დამოუკიდებელი აზროვნება. მორჩილი ადამიანი ინტერნეტიდან მიღებული ბრძანებების შემსრულებელი იქნება. ანუ ერთი მილიარდი ზომბირებული. მაგრამ ვიდრე ზოგიერთთათვის ამ „შესანიშნავი“ პროექტის განხორციელება დაიწყება, საფრთხობელის გამოგონებაა საჭირო და აი ისიც – კორონავირუსის სახით.

მან უკვე გვაჩვენა ყოვლისმომცველი სიძლიერე – ადამიანთა სიკვდილის, ეკონომიკის განადგურების, სოციალური ვითარების კატასტროფული დაცემის სახით. და არა მარტო. აქ პოლიტიკაც იგულისხმება, ქვეყნების ერთმანეთთან დაპირისპირებაც, ხალხთა ერთმანეთზე გადაკიდებაც. მაგალითი?

აშშ-ჩინეთის ვერბალური (ჯერჯერობით) ქიშპი. ისინი, განსაკუთრებით ტრამპი და მისი ადმინისტრაცია, ერთმანეთს აბრალებენ კორონავირუსის გაჩენას, ინფორმაციის დამალვას. ერთი სიტყვით, კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომშია ჩართული – ამჯერად ბიოლოგიურში. მის სამხედრო ბაზას სხვა კონფიგურაცია აქვს – სიტყვით „ჰუმანური“, საქმით – სიკვდილის გამავრცელებელი. მას ლაბორატორია ჰქვია. ასეთთა რაოდენობა, განსაკუთრებით ამერიკულის, საგრძნობია და მათი დისლოკაციის ადგილიც – პოლიტიკური თვალსაზრისითაც თვალშისაცემი – ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე – რუსეთის, მთავარი მტრის ირგვლივ. ამ ლაბორატორიების არსებობამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კორონავირუსის პანდემიასთან ერთად.

მედიის მიხედვით, ჩვენი მეზობელი სომხეთი არ უჩივის ამერიკული ბიოლაბორატორიების ნაკლებობას. ისინი არსებობენ ერევანში, გიუმრიში, იჯევანში. ასეთი ლაბორატორიებია სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ყველა ისინი ფინანსდება აშშ-ის სამხედრო უწყების მიერ. მათი ოფიციალური დანიშნულება სამშვიდობოა – მოსახლეობისა და ცხოველების დაცვა მასობრივი პანდემიისგან.

2018 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება მემორანდუმზე იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, სადაც ეს ლაბორატორიებია, რომლის მიხედვით უცხოელ სამხედროებსა და სპეციალისტებს უნდა აეკრძალოთ იქ ყოფნა.

2019 წელს ლავროვი იმყოფებოდა ერევანში, მაგრამ მასპინძლებმა უარი თქვეს მემორანდუმზე ხელის მოწერაზე. გასული წლის ბოლოს გაირკვა, რომ სომხეთში არსებული ლაბორატორია მუშაობს სომეხთა გენოტიპის კვლევაზე და მას აფინანსებს აშშ, ნატო, ევროკავშირი.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ბიოლოგიური ომი ეთნოსის წინააღმდეგ აღარ განეკუთვნება ფანტაზიის თემას. ლაბორატორია არც მალავს, რომ გეგმის მიხედვით, გადაწყვეტილი აქვს კავკასიის მოსახლეობის გენოტიპის შესწავლა.

კორონავირუსის შედეგებით გაღიზიანებულმა ოპოზიციამ და საზოგადოებამ მიმართა სომხეთის პრემიერ-მინისტრ ფაშინიანს ამერიკული ლაბორატორიის დახურვის თაობაზე და ორთვიანი ვადაც დაუწესა. თუ რით დამთავრდება საპროტესტო მოთხოვნა, მალე გახდება ცნობილი.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, ჩვენს ნეიტრალურ დამოკიდებულებას ზემომოყვანილ, მედიაში გავრცელებულ ფაქტებზე. ორი დაპირისპირებული მხარე ერთმანეთს ედავება ჭეშმარიტების დადგენაში. თუ რა შედეგით დამთავრდება ეს პაექრობა, ადრე თუ გვიან გახდება ცნობილი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.



დუგლას როჯერსი (კანადა), ისაო ინოკუმა (იაპონია), ფარნაოზ ჩიკვილაძე და ანზორ პიკნაძე (ორივე – საქართველო) ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ტოკიოში. 1964 წელი.

ორი ქართველი ერთ კვარცხლბეკზე

მე-19 საუკუნის მიწურულს აღმოსავლურ ორთაბრძოლათა სისტემებიდან იაპონელი ძიგორო კანოს შექმნილმა ჭიდაობის ჰუმანურმა, მწყობრმა და ერთიანმა სისტემა „ძიუდომ“ (იაპ. ძიუ – „რბილი“+დო – „გზა“), რომელმაც სასპორტო ხასიათიც შეიძინა, მალე გაიკვალა გზა საერთაშორისო სარბიელისკენ (დღეს მსოფლიოში 20 მილიონზე მეტი ადამიანი ვარჯიშობს). ამ სახეობის მიმართ გულგრილი არც საბჭოთა კავშირში დარჩენილან.

როგორც ამბობენ, ძიუდომ ყოფილ საბჭოეთში გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს მოიკიდა ფეხი. ცნობილია, რომ 1957 წელს საკავშირო სპორტსაზოგადოებების – „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ (მის შემადგენლობაში ქართველი ფალავნები – შალვა დაუშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, გურამ სიმონიშვილი და ოთარ შინჯიკაშვილიც გამოდიოდნენ) სამბისტებმა მოსკოვში უნგრეთის „დოჟასა“ და მტკ-ს ძიუდოისტებს 24:0, ხოლო უნგრეთში იმავე წელს (დეკემბერი) 23:0 სძლიეს.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებზე მუშაობისას თბილისში რუსულ ენაზე 1933 წელს დაბეჭდილ ჟურნალ „Физкультурник Закавказья“-ში ერთ საინტერესო სტატიას წავაწყდი – ა. სტანკევიჩის საკმაოდ ვრცელ პუბლიკაციას სათაურით – „ძიუ-დო მასებში“. ავტორი წერს, რომ რეაქციის, ტერორისა და ინტერვენციის ქვეყანა იაპონიის დაცვისა და თავდასხმის ორთაბრძოლის – ძიუდოს ილეთების კარგ ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სტანკევიჩი სპორტის მუშაკებს მოუწოდებს, ფართო მუშაობა გაშალონ „საბჭოთა კავშირის მასებში ძიუ-დოს დასანერგავად და სერიოზულად ძიუ-დოს ტექნიკის ასათვისებლად“.

სსრკ მასებში ძიუდოს დანერგვა მთავრობის პოლიტიკა რომ არ ყოფილიყო, არა გვგონია,1933 წელს სტანკევიჩს ასეთი სითამამე გამოეჩინა და იაპონიის ფიზიკური აღზრდის სისტემისთვის მსგავსი პროპაგანდა გაეწია.

შემდგომი ძიებისა და უცხოურ წყაროებზე მუშაობისას ბევრ საინტერესო მასალას მივაკვლიე. კერძოდ: 2017 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ძიუდოსთვის საბჭოეთში საფუძველი ჩაუყრია ვასილი ოშჩეპკოვს, რომელსაც ჯერ იაპონურ კიოტოში მართლმადიდებლურ სემინარიაში, მერე კი ტოკიოში ძიგორო კანოს „კოდოკანის“ სკოლაში უსწავლია. შავი ქამარი მისთვის თვით კანოს შემოურტყამს.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ ოშჩეპკოვს ძიუდოს ფართო პროპაგანდა დაუწყია და 1928 წელს ძიუდოს სასპორტო და საბრძოლო კომპლექსის ილეთები გლეხურ-მუშური წითელი არმიის (რკკა) პირველი საკავშირო სპარტაკიადის საჩვენებელ ნაწილში შეუტანიათ.

ძიუდოს განვითარების მოკლე ისტორია და ხელჩართული ბრძოლის სისტემა ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის 1932-1933 წლების სასწავლო გეგმაში შესულა. 1933 წლის მაისში ძიუდო უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადის პროგრამაში ჩაურთავთ, ხოლო 1933-1934 წლებში ძიუდოს სექციები ლენინგრადში, სარატოვში, ხარკოვში, კიევში, როსტოვში, ბაქოში, თბილისსა და სხვა ქალაქებში გაუხსნიათ (დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენს არქივში შესაბამისი წყაროების საძიებლად, სამწუხაროდ, საშუალება არ მოგვეცა).

1935 წელს მოსკოვის პირველი ჩემპიონატი გაუმართავთ ძიუდოში, 1937 წელს კი მოსკოვისა და ლენინგრადის ძიუდოისტთა გუნდები შეხვედრიან ერთმანეთს. ნოემბერ-დეკემბერში დაგეგმილი ყოფილა ძიუდოისტთა პირველი საკავშირო ჩემპიონატის ჩატარება მოსკოვში, მაგრამ ვასილი ოშჩეპკოვს შპიონაჟში (იაპონიის სასარგებლოდ) დასდეს ბრალი და 1938 წელს დახვრიტეს. ამის შემდეგ ძიუდო ოშჩეპკოვის სახელთან ერთად დავიწყებას მიეცა.

სპორტის ამ სახეობის საბჭოეთში აღორძინება მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება. 1961 წელს საბჭოთა კავშირი ჯერ ევროპის ძიუდოს კავშირის, მერე კი საერთაშორისო ფედერაციის წევრიც გახდა.

1962 წელს სსრ კავშირს საფრანგეთის ძიუდოისტთა უძლიერესი ნაკრები ეწვია. საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში სამი ქართველი გამოდიოდა, მოსკოვში 8 აპრილს სტუმრებს 6:2 მოუგო. ანზორ ზურაბაულმა მიშელ კოლინონს, ანზორ კიკნაძემ ივა რეიმონს, ხოლო დურმიშხან ბერუაშვილმა მარკ რუსეს აჯობეს. ერთი თვის შემდეგ – 12 მაისს გერმანულ ესენში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. საბჭოელთაგან კონტინენტის პირველი ჩემპიონი ანზორ ქიბროწაშვილი გახდა, 10 წუთის შემდეგ აბსოლუტურ კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ანზორ კიკნაძე ავიდა, რობერტ ჯღამაძე და დურმიშხან ბერუაშვილი კი უმედლოდ დარჩნენ.

ანზორ კიკნაძე 1934 წლის 26 მარტს საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში დაიბადა. ევროპის ჩემპიონატებზე ცხრაჯერ ოქროს და ორჯერ ვერცხლის მედლები მოიპოვა, მსოფლიოს ჩემპიონატებზე რიო დე ჟანეიროსა და სოლტ ლეიქ სიტიში ბრინჯაოს ჯილდოები ერგო. ხუთჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა დაიმსახურა სამბოში. 1964 წელს საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ტოკიოს ოლიმპიადაზეც ისახელა თავი: ჯგუფურ ეტაპზე იოლად სძლია ჰოლანდიელ იობ გუველეუს და გერმანელო ჰერბერტ ნიემანს, ნახევარფინალში კი მასპინძელ ისაო ინოკუმასთან დამარცხდა. ამ ორთაბრძოლას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ევროპის პირველი ჩემპიონი ანზორ ქიბროწაშვილი, რომელიც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადლენ ანდრეევმა ნაკრებში პირადი ინტერესების გამო არ მიიწვია. ერთხელ, აი, რა გვიამბო მან:

-ოლიმპიადისთვის კიკნაძეს სპეციალური პროგრამით ავარჯიშებდნენ. მახსოვს, ვლადივოსტოკში შეუსვენებლად ექვს მეტოქესთან უწევდა გამკლავება, რომ ფიზიკურად კარგად ყოფილიყო მომზადებული. ტოკიოში ჩვენმა ფალავანმა ისაო ინოკუმასთან ჭიდაობისას თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და მეტოქეს ვაზარი აართვა. ინოკუმა დიდხანს იჯდა ტატამზე გაოგნებული – მსაჯებმა ძლივს წამოაყენეს. არბიტრის ნიშანზე კიკნაძე მეტოქეს რომ მიუახლოვდა, იაპონელი არ განძრეულა. ქართველმა ვაჟკაცმა ამგვარ სიტუაციაში დაჭიდება არ იკადრა და უკან დაიხია. მერე, როცა ორთაბრძოლა განახლდა, გახელებულმა ისაომ ზედიზედ ორი ვაზარი მიითვალა და გაიმარჯა...

კიკნაძე მესამე ადგილს დასჯერდა. საბჭოთა ძიუდოისტთაგან პირველს მას მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. დიდ სპორტთან განშორების შემდეგ იგი წარმატებულად მუშაობდა დირექტორად ხარაგაულის, სიონისა და ქარელის საკონსერვო და ხილ-კენკროვანი მეღვინეობის ქარხნებში. 1977 წლის 17 ნოემბერს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

ტოკიოს ოლიმპიურ კვარცხლბეკზე კიკნაძის გვერდით, ასევე, სახელოვანი ქართველი ფალავანი ფარნაოზ ჩიკვილაძე იდგა, რომელიც თანაგუნდელზე შვიდი წლით უმცროსი იყო (1941 წლის 14 აპრილს დაიბადა). ის საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1964 წელს მიიწვიეს და გუნდურში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო პირადში მეორე ადგილზე გავიდა. ტოკიოში ჩიკვილაძე კიკნაძესთან ერთად +80 კილოში გამოდიოდა. ამ წონაში 14 ძიუდოისტი იბრძოდა მედლებისთვის. ჯგუფში ფარნაოზმა ამერიკელი ჯორჯ ჰარისი და ბრიტანელი ენტონი სუინი დაამარცხა ნახევარფინალში კანადელ დუგლას როჯერსთან (ის ტოკიოში ვარჯიშობდა მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონ ისაო ინოკუმასთან ერთად) ორთაბრძოლისას კონტრილეთზე წამოეგო და დამარცხდა, ხოლო საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა.1965 წელს პირად პირველობაში ევროპის ჩემპიონი გახდა და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. მომდევნო წლის 8 მაისს ევროპის ჩემპიონატზე მე-2 ადგილს დაყაბულდა, ერთი თვის შემდეგ კი მოსკოვში ავტოავარიაში დაიღუპა...

ვაჟა დანელია

დღესასწაული წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა, ანდრია პირველწოდებულისა საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებლისა

ხვალ, 12 მაისს, საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ანდრია პირველწოდებულს, რომელიც წარმოშობით გალილეიდან იყო. ...ცნობილია, რომ, როცა იოანე ნათლისმცემელმა იორდანეს ნაპირებზე ქადაგება იწყო, ანდრია ზებედესთან (იოანე) ერთად, წინასწარმეტყველს გაჰყვა და იმედოვნებდა, რომ თავის სულიერ კითხვებზე პასუხს მის მოძღვრებაში ჰპოვებდა. ბევრი ფიქრობდა, რომ შესაძლოა იოანე ნათლისმცემელი იყო მომავალი მესია, მაგრამ იგი ადამიანებს უხსნიდა, რომ მესია არ არის, არამედ მას მხოლოდ გზას უმზადებს. იმ ხანებში უფალი იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემელთკან მოსანათლად იორდანეზე მივიდა...

საგულისხმოა, რომ ანდრია პირველწოდებულმა გაიგო რა ამის შესახებ, იოანესთან ერთად გაჰყვა იესოს. ანდრიამ, რომელიც სხვა მოციქულებზე ადრე გაჰყვა უფალს, პირველწოდებულის სახელი მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ ანდრია მოციქული ქრისტესთან მთელი მისი ცხოვრების მანძილზე იმყოფებოდა, მაცხოვრის აღდგომის შემდეგ ანდრია სხვა მოწაფეებთან ერთად მასთან შეხვედრას ეღირსა და ზეთისხილის მთაზე იმყოფებოდა – უფალმა ისინი აკურთხა და ზეცად ამაღლდა. წმინდა ანდრიას წილად ხვდა ქადაგება შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში, მათ შორის – საქართველოში.

გადმოცემის თანახმად, სწორედ ანდრია მოციქული ითვლება რუსეთისა და საქართველოს განმანათლებლად, სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად.

საბერძნეთში დაბრუნებული ანდრია მოციქული კურნავს ბევრ ადამიანს, მაგრამ ქალაქ პატრას მმართველი – ეგეატოსი მოციქულ ანდრიას წინააღმდეგ სიძულვილით აღენთო და მას ჯვარზე გაკვრა მიუსაჯა. ჯვარზე გაკრული ანდრია განუწყვეტლივ ლოცულობდა, ის მოწამეობრივად აღესრულა ქრისტესშობიდან 26 წელს.

„დროის ტალღა“ დროის კვალდაკვალ

გამომცემლობა „ივერიონმა“ დასტამბა **აკაკი მუმლაძის** წიგნი **„დროის ტალღა“**. წიგნში გაერთიანებულია თითქმის ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე ავტორის მიერ პრესაში გამოქვეყნებული ათობით პუბლიკაცია. ეს სტატიები ეხება იმ მწვავე და საჭირბოროტო საკითხებს, პრობლემებსა და გამოწვევებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის თანმდევი იყო და არის დღესაც. ყველა პუბლიკაცია გამოირჩევა მასში დასმული პრობლემატიკის ავტორის მიერ ღრმა განცდით, მის არსში ჩაწვდომითა და გადაწყვეტის ორიგინალური გზების შეთავაზებით.

პუბლიკაციათა თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია - კონფლიქტი აფხაზეთში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში არსებული სიდუხჭირე და განუკითხაობა, განათლებისა და ენათმეცნიერების საკითხები, ქართული მენტალობისა და ურთიერთობების ნეგატიური ასპექტები, ქვეყნის სხვადასხვა დარგის მოწყობასა და ფუნქციონირებაში არსებული ხარვეზები.



ავტორი ღრმად და ანალიტიკურად აანალიზებს, თუ ათობით წლის მანძილზე როგორ ყალიბდებოდა ის მსოფლაღქმა და ცხოვრების წესი, რომელიც შემაფერხებელ ფაქტორად იქცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების საქმეში. იგრძნობა სამართლიანობის ღრმა განცდა, რითაც გამოირჩევა წიგნში მოცემული ბევრი სტატია.

„დროის ტალღა“ იმ მოვლენების არქივია, რომლებიც ნიშანდობლივია საქართველოს უახლესი ისტორიის გასაგებად. კონკრეტული ფაქტების წარმოჩენით ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ მწიფდებოდა კონფლიქტი აფხაზეთში, რა როლი ითამაშა რუსეთმა, საბჭოურმა კრემლმა ამ დაპირისპირების გაღვივებაში. მასში მოცემულია როგორც აფხაზეთში, ასევე სამაჩაბლოში დაძაბულობის ესკალაციის ექსკურსი და აფხაზეთში ომის პერიპეტიები, განალიზებულია ქართული მხარის მიერ დაშვებული შეცდომები, შემოთავაზებულია შესაძლო გამოსავლის გზები.

ავტორის ხედვით, სოციალური კეთილდღეობა და შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება - ეს ის ორი ფუნდამენტია, რომელიც გააჯანსაღებს მსოფლიოს. ამ თვალსაზრისით მოცემულია მრავალი საინტერესო, ნოვატორული და ორიგინალური იდეა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ის იდეები, რომელთაც აკაკი მუმლაძე განათლების სისტემის რეფორმირების მიმართულებით გვთავაზობს. ეს ეხება როგორც საუნივერსიტეტო, ასევე სკოლის მოწყობას. მათში იკვეთება ავტორის მაღალი კომპეტენცია ამ საკითხების ანალიზისა და უაღრესად პროგრესული იდეების შემოთავაზების თვალსაზრისით. იგივე ეხება ზოგადად უცხო ენის და ასევე, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლებასაც. უნდა აღინიშნოს ის, რომ წიგნში შემოთავაზებული ბევრი იდეა უკვე, საბედნიეროდ, რეალიზებულია და მკითხველს ისღა დარჩენია ივარაუდოს, რამდენად დიდია ავტორის წვლილი ამ საქმეში.

აკაკი მუმლაძის „დროის ტალღა“ აუცილებელი საკითხავია ყველა იმ ადამიანისთვის, რომელსაც ქვეყნის უახლესი ისტორია და დღევანდელობა აინტერესებს, მისი მომავალი ადარდებს და აღელვებს.

ლია თოდუა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი

წიგნი შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ბმულებზე:
https://www.lit.ge/book/231692-drois-talgha-akaki-mumladze/
https://eon.ge/books/authors/

ამ ეტაპზე საქართველოს მედიცინამ კოვიდინფექციაზე გაიმარჯვა

„ძალიან გული მწყდება ყოველთვის, როცა საერთაშორისო კონფერენციაზე დავდივარ, საქართველოს მედიცინა წინა პლანზე არ დგას. ჩვენ ქვეყანას ძალიან ბევრი, კარგი, განათლებული ექიმი ყავს და ვოცნებობ, რომ ჩემი ქვეყანა მოწინავე რიგებში იდგეს, რადგან ეს ქვეყანა ამას იმსახურებს, პირველ რიგში წარსულით. ძალიან მინდა, რომ ჩვენი ქვეყანა ამ დარგში პირველი გამოჩნდეს. ყოველთვის უნდა გვქონდეს უკან დასახევი სიტყვა, მაგრამ ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს მედიცინამ კორონაინფექციაზე გაიმარჯვა“, — განაცხადა საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელმა ლევან რატიანმა.

მისი თქმით, საუნივერსიტეტო კლინიკაში სულ კორონავირუსით ინფიცირებული 150 პაციენტი მოხვდა. ლევან რატიანმა აღნიშნა, რომ ინფექციის საწყის ეტაპზე ექიმები დაბნეულები იყვნენ, თუმცა შემდეგ ისწავლეს.

„28 თებერვალს დამიბარეს სამინისტროში და მითხრეს, რომ კოვიდინფექციის ცენტრად უნდა გადავკეთდეთ, ძალიან რთულია, აშენებული კლინიკის დანგრევა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ეს ქვეყანას სჭირდებოდა, გადავწყვიტეთ, პირველი გავმხდარიყავით ამ ბრძოლაში. გადავკეთდით კოვიდინფექციის ცენტრად — ეს იყო ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და დიდი შრომა, ნერვიულობა. ამ ინფექციაზე ბევრი გვქონდა წაკითხული, თუმცა როდესაც პირველი პაციენტი მივიღეთ, არ ნიშნავდა, რომ ჩვენ ეს ვიცოდით. პირველმა პაციენტმა, რომელიც 10 მარტს შემოვიდა, თავიდან ბოლომდე დაგვაბნია, მაგრამ დღეს დავწყნარდით, მოვლაც ვისწავლეთ, მკურნალობაც და ტაქტიკაც. ასე რომ, შემიძლია გითხრათ, რომ ამ ეტაპზე სხვა ქვეყნებსაც ვუზიარებთ გამოცდილებას. ჩვენმა კლინიკამ ამ დრომდე 150 პაციენტი გაატარა. ამ ეტაპზე, ომი მოვიგეთ“, — აღნიშნა ლევან რატიანმა.

◎ შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!

რეანიმაცია

ქუთაისი „კლინიკა ლჯ“

დღეს ცივილიზაციის მორიგი გამოცდა ტარდება. კორონავირუსმა მსოფლიო შეარყია. ექიმები ფრონტის წინა ხაზზე გავიდნენ. „კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადა“ (ვაჟა). კარგ გულს მუდამ ეყოლება შთამომავალი, რომლის საპატიო ამოცანა იქნება, დაიცვას სიცოცხლე და სილამაზე დედამიწაზე. ბედნიერი ხარ, თუ შეგიძლია უშველო მოყვასს და შველი! დღეს გვიჩვენებდნენ კადრებს: ბინებში ჩაკეტილი იტალიელები, ესპანელები, გერმანელები ფანჯრებთან იდგნენ და ტაშით ეგებებოდნენ ქუჩაში მიმავალ სპეცტანსაცმლიან მამაც ექიმებს. ჩვენც სიამოვნებით ვიზიარებთ მათდამი მადლიერების ამ გრძნობას.

...ჩემი ჯერი დადგა. კარდილოგ მაგდა შირავას და ნევროპათოლოგ აივენგო გაბისონიას ინიციატივით, ქუთაისში გამაქანეს და „კლინიკა ლჯ“-ის რეანიმაციის პალატაში მომათავსეს. დიაგნოზი: სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ორმხრივი პნევმონია, ორმხრივი ჰიდროთორაქსი და ა.შ. ამ დროს კლინიკის გარეთ სწრაფად ვრცელდება კორონავირუსი.

ჩემი დაავადების ნიშნები ემთხვევა კორონავირუსის ნიშნებს, მაგრამ განსხვავებაც დიდია. შემოვიდა მორიგე ექიმი ირაკლი მიქაძე. მიცნო, მოიგონა საყვარელი ფილმები და მსახიობები. მიხარია, რომ ქართული ფილმის მიღწევები უკვალოდ არ დაკარგულა.

ძალა თანდათან მეცლება, ვიღლები. ექიმი არ მტოვებს, კითხვებს მაძლევს. გადასხმის აპარატი დამიყენეს, ჟანგბადს მაწვდიან... გონს რომ მოვეგე, ყურადღება ავადმყოფებისკენ გადავიტანე: ზოგს სძინავს, ზოგი იღვიძებს და ყვირის. პერსონალი აქეთ-იქით დარბის. მოძრაობის ჩვეულებრივი რიტმი აქ გამორიცხულია. ყველა ავადმყოფის მდგომარეობა კრიტიკულია. დაყოვნებას ვინ გაცლის. ერთ ახირებულ ავადმყოფს რამდენიმე წუთის განმავლობაში სამჯერ გამოუცვალეს ქვეშაგები. მაინც თავს ევლებიან, ხელით აჭმევენ, მან კი ბულიონი დააღვრევინა ექთანს. უცებ ხარხარი ატყდა. რა მოხდა? ავადმყოფს ბულიონი დაუწუნებია, მარილი აკლიაო. ექთანი გოგონები იცინიან, ამას რესტორანში ჰგონია თავიო.

პალატაში შემოდის რეანიმაციის მთავარი ექიმი პაატა სირბილაძე. ყველა ავადმყოფს რაღაც ჰქონია სათქმელი, თქმა კი უჭირთ, ინსულტი აქვთ, ენა ებმებათ ან სულ ვერ ლაპარაკობენ. ერთმა ავადმყოფმა ჩაიგდო ხელში ექიმი და არ უშვებს. სირბილაძე მიუხვდა: სასთუმალს უმაღლებს, შემდეგ უდაბლებს, შემდეგ ისევ უმაღლებს. ერთხანს გრძელდება კორექცია. ბოლოს და ბოლოს ავადმყოფი დაკმაყოფილდა. სირბილაძემ შვებით ამოისუნთქა, პატარა ლექციის წაკითხვის საშუალება მიეცა. მიახლოვდება ექთანი ირა ამბროლაძე და მეუბნება, მინი-ოპერაცია უნდა გაგიკეთონ, ახლავე შემოვა ექიმი გიგა ქარჩხაძე და მოემზადეო. შემოვიდა ახალგაზრდა კაცი ასისტენტის თანხლებით. მეკითხება: თქვენ ხართ კვესელავა? ოპერაცია ისე ჩაატარა, სიტყვა აღარ დასცდენია. ძალიან მინდოდა, მეკითხა, რაიმე ხომ არ იცოდა მწერალ ქარჩხაძის შესახებ. მითხრა, მერე განახავო, მაგრამ აღარ მოსულა.

მეორე დღეს ირა ამბროლაძემ გამომიცხადა, ხვალ ცალკე პალატაში გადაგიყვანენო.

სახეზე მატყობს, რომ არ გამხარებია.

— იქ მშვიდად იქნებით!

— შევეჩვიე აქაურობას.

— შეეჩვიეთ? რას ამბობთ!

ვიდრე გადამიყვანდნენ, ახალი ავადმყოფი მოიყვანეს ჩემს მეზობლად. მშვიდი, კეთილი სახე აქვს. მიღიმის. საუბრისთვის განვეწყვე. უმნიშვნელო გაჟონვა ჰქონია. წამოდგა. მაღალია, ახოვანი. პირსახოცი აიღო და ხელის დასაბანად წავიდა. რომ დაბრუნდა, ექთანმა შენიშვნა მისცა, არ უნდა ამდგარიყავითო. მასაც გაუღიმა. პაატა რურა ისტორიკოსია, ცნობილი სპორტსმენის რომან რურუას ახლობელი. ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. საუბარი გალაკტიონის გახსენებით დავასრულეთ. ჩვენს თაობას უყვარს გალაკტიონი. თავისი თვალით უნახავს ქუჩაში მიმავალი გენიალური პოეტი. დალაპარაკებია. მისი ლექსები უსწავლია. არა, — მეუბნება პაატა, — სპეციალურად არ მისწავლია, თავისით დამამახსოვრდა: „ლურჯი მონტევიდეო ვიწრო ხელთათმანებით“...

პაატას მეუღლეც ღირსეული ჰყოლია, მშვიდი, თავაზიანი, თანამგრძნობი. თანდათან იფანტება ბურუსი.

ძნელია აქედან წასვლა. ბოლოს მაინც გადამიყვანეს. პალატაში მარტო ვარ. აქ ცივა, იქ, რეანიმაციაში, თბილოდა. თურმე ტანჯვა სითბოს გამოჰყოფს. მომენატრა იქაური მედპერსონალის შფოთვა და ფაცი-ფუცი. ექიმ პაატა სირბილაძის რჩევა-დარიგებები.

მინახულეს მწერლებმა ელგუჯა თავბერიძემ და გიზო თავაძემ. მომიტანეს ჟურნალი „მწვანეყვავილა“. თვალწინ გამიცოცხლდა რეზო ჭეიშვილი, ქართული პროზის ოსტატი, ჩვენი ჭეა, ჩვენი მასწავლებელი!

თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა კლინიკის მთავარი ექიმი ზაზა ლომინაძეო, მითხრა ექიმმა ნესტან ჭკადუამ. გამიხარდა. მალე კიდეც მოვიდა და გამსინჯა. მის გვარს პატივს ვცემ. ინსტიტუტში ფილოსოფიას გვიკითხავდა სიმპათიური და ნიჭიერი კოტე ლომინაძე. მის ლექციას არ აცდენდნენ. განსაკუთრებულ ერთგულებას ქალიშვილები იჩენდნენ. ყოველივე ეს ბატონ ზაზას მოვახსენე. ჰო, ასეთები ვართ ჩვენ, ლომინაძეები! — მიპასუხა ღიმილით.

ბატონი ზაზა უყვართ თანამშრომლებს, მის სიტყვას აფასებენ და განუხრელად ასრულებენ. გავიდა თუ არა პალატიდან, იმავე წამს შემოირბინა ექთანმა ანანო ფანცულაიამ, ჩამსვა „კალიასკაში“ და მოხერხებულად ჩამასრიალა ექოსკოპიის კაბინეტში. იქ პირველად ვიხილე კარდიოლოგი ნინო ტაბატაძე. მან რაღაც უთხრა ექიმებს ჩემზე. ერთი ფრაზა გარკვევით მომესმა, ამას ანემიის არაფერი ეტყობაო.

მე რა გავიფიქრე ამ დროს? შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!

მაგრამ წამი გაქრა, დარჩა მოგონება...

რეზო კვესელავა,
ლიტერატორი, კინოდრამატურგი.
მარტვილი

სანთელი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე, ისტორიკოსი, პროფესორი

გოგი ლორთქიფანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, სრულიად საქართველოს.

გამოსვენება სიონის საკათედრო ტაძრიდან, სამშაბათს 14 საათზე.

საქართველოს ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მთავარი რედაქტორის მოადგილე, ისტორიკოსი, პროფესორი

გოგი ლორთქიფანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

რეზო ამაშუკელი ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა არაჩვეულებრივი ქართველი, უკეთილშობილესი პიროვნება

გოგი ლორთქიფანიძე

და უსამძიმრებს ძმას ვაჟა ლორთქიფანიძეს და ყველა ახლობელს.

ნათელში აბრუნოს უფალმა.

ოთარ ტურაბელიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს აკადემიკოს ვაჟა ლორთქიფანიძეს ძმის, უკეთილშობილესი პიროვნების, ისტორიკოსის, პროფესორის

გოგი ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი, ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიების ლაურეატი, ჩინებული მამულიშვილი, ნიჭიერებით, კეთილსინდისიერებით, გულმხურვალეებით გამორჩეული პიროვნება

დალი ჩიკვილაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ეთერ ქემერტელიძე და დოდო შანშიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი ჟურნალისტისა და ფილოლოგის, კეთილშობილი, მოამაგე მანდილოსნის, ერთგული მეგობრის

დალი ჩიკვილაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014“ განცხადება

კოოპერატივი „რკ აგრო-ლია 2014“ იწვევს მეპაიეთა საერთო კრებას — ბანკიდან სესხის აღების საკითხისა და მისი პირობების განსახილველად, რომელიც ჩატარდება 2020წლის 2 ივნისს 12სთ-ზე მისამართზე: ზუგდიდი, სოფ. ინგირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

გეოგრაფიული აღნიშვნა

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს რკ „კოდის“ მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ნინოწმინდის თაფლი
სპეციფიკაცია

განაცხადის №3494/7
განაცხადის შეტანის თარიღი: 22/11/2019
საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:
კლასი 30 – თაფლი
განმცხადებლის სახელი და მისამართი: რკ „კოდი“; იოანე პეტრიწის ქ. №2, 0800, ახალციხე, საქართველო

1. დასახელება: ნინოწმინდის თაფლი

2. პროდუქტის აღწერილობა

ნინოწმინდის თაფლი არის კვების პროდუქტი, რომელსაც მეთაფლია ფუტკრები (Apis mellifera caucasica) ამზადებენ ჯავახეთის ზეგანზე, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე არსებული მცენარეების ყვავილებიდან, „ნინოწმინდის თაფლი“ გროვდება ივნისი-ივლისის პერიოდში სუბალპურ და ალპური ზონის ველის მცენარეებიდან. ამ პერიოდში შესაძლებელია საფუტკრის ერთი განლაგების წერტილიდან მოსავალი მივიღოთ 2-3 ჯერ, რის გამოც თაფლი შეიძლება იყოს სხვადასხვა შეფერილობის.

„ნინოწმინდის თაფლი“ ხასიათდება:

- საშუალოდ გამოხატული ზომიერი არომატით;
- ზომიერად ტკბილი, სახიამოვნო და დამახასიათებელი გემოთი;
- შეგროვების დროიდან გამომდინარე, არის ღია მოყვითალო, ან თითქმის უფერო, იშვიათ შემთხვევაში წაბლისფერი.

კონსისტენციის მიხედვით, „ნინოწმინდის თაფლი“ შეიძლება იყოს ბლანტი, კრემისებრი, სრულად ან ნაწილობრივ დაკრისტალებული.

„ნინოწმინდის თაფლს“ გააჩნია კრისტალიზაციისადმი ბუნებრივი მიდრეკილება, რაც განპირობებულია მისი სიწმინდითა და ხარისხით, ამიტომ იგი შეიძლება გაიყიდოს თხევად და გამყარებული (კრისტალიზებული) სახით. კრისტალიზაციისას ნინოწმინდის თაფლი გარდაიქმნება თეთრი ფერის ან სპილოსძვლისფერ, წვრილკრისტალიზირებულ, კრემისებრ ან მყარ მასად. ის შეიცავს 72%-ზე მეტ ინვერსირებულ შაქრებს და გამოირჩევა „დიასტაზის რიცხვის“ დაბალი მაჩვენებლით – 8-10 შადეს შკალის მიხედვით. თაფლში წყლის დასაშვები ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 19.5%, ხოლო ელექტროგამტარობა არ უნდა აღემატებოდეს 0,8 მლს/სმ-ს.

3. გეოგრაფიული არეალი

„ნინოწმინდის თაფლის“ წარმოების არეალს წარმოადგენს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, რომელსაც მოიცავს შემდეგი სოფლების ტერიტორიები – ასფარა (41°27’10.82"N, 43°46’56.10"E), ახალი ხულგუმო (41°29’15.48"N, 43°48’53.18"E), განძანი (41°20’53.77"N, 43°45’5.59"E), გორელოვკა (41°12’52.94"N, 43°41’28.48"E), დიდი არაქალი (41°18’16.01"N, 43°39’52.14"E), დიდი გონდური (41°17’36.24"N, 43°28’48.94"E), დიდი ხანჩალი (41°14’41.83"N, 43°35’38.92"E), დილიფი(41°16’38.27"N, 43°28’12.26"E), ეფრემოვკა (41°11’25.62"N, 43°45’2.60"E), ეშტია (41°20’26.90"N, 43°36’44.97"E), ვლადიმიროვკა (42°53’33.25"N, 41°13’56.97"E), თორია (41°22’4.88"N, 43°34’26.27"E), კათნატუ (41°13’35.57"N, 43°36’9.85"E), მამწვარა (41°18’15.98"N, 43°30’14.10"E), ორლოვკა (41°13’6.80"N, 43°39’16.73"E), ოროჯოლარი (41°18’3.85"N, 43°37’8.74"E), პატარა არაქალი (41°18’49.48"N, 43°40’0.76"E), პატარა გონდური (41°17’53.94"N, 43°27’31.34"E), პატარა ხანჩალი (41°14’37.98"N, 43°31’48.16"E), პატარა ხორენია (41°20’14.23"N, 43°31’17.56"E), ჟდანოვაკანი (41°9’56.27"N, 43°46’21.86"), ფარავანი (41°27’4.63"N, 43°51’14.06"E), სათხე (41°16’49.16"N, 43°39’6.78"E), სამება (41°9’36.65"N, 43°48’29.64"E), საღამო (41°18’47.52"N, 43°45’38.10"E), სპასოვკა (41°14' 56.82"N, 43°39’37.78"E), ტამბოვკა (41°28’50.86"N, 43°48’5.48"E), უჯმანა (41°22’1.78"N, 43°35’53.73"E), ფოკა (41°23’48.15"N, 43°47’34.28"E), ყაურმა (1°19’18.25"N, 43°35’1.13"E), ყულალისი (41°19’35.43"N, 43°28’49.76"E), ჯიგრაშენი (41°19’5.92"N, 43°32’17.68"E). „ნინოწმინდის თაფლის“ წარმოების არეალი (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი) მდებარეობს ზღვის დონიდან 1950-2200მ სიმაღლეზე, მისი სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ემთხვევა საქართველო-თურქეთის, ხოლო სამხრეთი საზღვარი საქართველო-სომხეთის საზღვარს. ჩრდილოეთით მას წალკის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ხოლო აღმოსავლეთით დმანისის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 1353,9 კმ². (http://ninotsminda.ge/portal/alias_Ninotsminda/tabid_3491/default.aspx)



4. კავშირი გეოგრაფიულ ადგილთან:

4.1. გარემოს განსაკუთრებული მახასიათებლები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ვულკანურ ზეგანზე, ზღვის დონიდან 1950-2200 მ სიმაღლეზე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ზეგნის კონტინენტური ჰავაა. ზამთარი აქ ცივი და მცირე თოვლიანია, ზაფხული კი – გრილი. წლის ცივი თვის, იანვრის საშუალო ტემპერატურა – მინუს 11°C-ია, თბილი თვის, აგვისტოსი კი – 13°C. ნალექების წლიური რაოდენობაა 733 მმ/ წელიწადში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ფარავანი, მცირე შენაკადებითურთ. გეოგრაფიული დასახელება „ნინოწმინდის თაფლის“ ტერიტორია ცნობილია ტბათა სიმრავლით, რომელთა შორისაა: ფარავანი, მადათაფა, ხანჩალის ტბა, საღამოს ტბა, ბუღდაშენის ტბა და სხვა. მუნიციპალიტეტში მრავლადაა მიწისქვეშა წყლები, ასევე, ჭარბტენიანი ტერიტორიები. ამ უკანასკნელს 4 000 ჰა უჭირავს. ტბების და ჭარბტენიანი უბნების ნაწილი დაცულია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ფუტკრის მიერ ნექტარის და ყვავილის მტვერის შეგროვება იწყება ივნისში და გრძელდება სექტემბრამდე. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია შემდეგი ბუნებრივი მოვლენები:

ა. დღისა და ღამის ტემპერატურათა მკვეთრი კონტრასტი – დღისით ცხელა ღამით ცივა. ეს მოვლენა ნექტარის არომატების და საგემოვნო თვისებების ფორმირებას უწყობს ხელს.

ბ. დღის სიცხე ხელს უწყობს ტბათა ზედაპირებიდან წყლის აორთქლებას და ღამით, როდესაც ტემპერატურა ეცემა, აორთქლებული წყალი კონდენსირდება. ამის გამო გამთენიისას მინდორი ხშირად დანამულია, რაც თაფლოვან მცენარეებში ნექტარის ფორმირებას უწყობს ხელს.

ჯავახეთის ეროვნული პარკი 2011 წლის მარტში შეიქმნა. იგი მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიას, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 14,206.83 ჰექტარს. ეროვნული პარკის ტერიტორია დაცულია და იკრძალება ხვნა-თესვა, შეწამვლა, ნადირობა და თევზჭერა.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ფლორა, განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების გამო, მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უტყეოა, დაფარულია მთის და მდელო-ველის მცენარეულობით. ტბების ირგვლივ დაჭაობებულ ტაფობებში გავრცელებულია წყლისა და ჭაობის მცენარეულობა. 2000 მეტრზე მაღლა იწყება სუბალპური და ალპური მდელოები. აქაური ფლორა გამოირჩევა იშვიათი და ენდემური სახეობებით. მარტო წყალჭარბ ტერიტორიებზე ფლორის 474 სახეობაა გავრცელებული, რომელიც 235 გვარსა და 62 ოჯახში ერთიანდება. ჯავახეთის ზეგანზე გავრცელებულია 171 ენდემური და პირობითად ენდემური სახეობა, რაც რეგიონის მეტად მაღალი ბიომრავალფეროვნებისა და განსაკუთრებით ბუნებრივი პირობების მაჩვენებელია.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში გავრცელებული თაფლოვანი მცენარეებია: კავკასიური კლდისდუმა (ლათ. – Sedum caucasicum), ჯავახური ხმალა (ლათ. – Gladiolus dzavacheticus), კურდღლისფრჩხილა (ლათ. – Lotus caucasicus), Alchemilla georgica, Alchemilla subsplendes, თეთრი სამყურა (ლათ. – Trifolium repens), ნივრისდედა (ლათ. – Brassicaceae), ოროვანდი (ლათ. – Artium lappa L.), Fabaceae, ვარსკვლავა (ლათ. – Astrantia maxima pall), ტუჩოსანთა ოჯახის წარმომადგენლები (ლათ. – Lamiaceae), მიხაკისებრთა ოჯახის წარმომადგენლები (ლათ. – Caryophyllaceae), სკიპალო (ლათ. – Cephalaria gigantea), ნარი (ლათ. – Cirsium simplex), ხახვისთავა (ლათ. – Centaurea macrocephala Muss.) ფარსმანდუკი (ლათ. – Achillea sedelmeyeriana), ყვითელი ძიძო (ლათ. – Melilotus officinalis (L.) pall), ჯავახური იონჯა (ლათ. – Medicago dzhawakhetica), ლურჯი წითელძირა (ლათ. – Echium vulgare) და სხვა.

ყოველივე ზემოთ აღწერილი ბუნებრივი მოვლენები, დაცული ტერიტორიები და მრავალფეროვანი ფლორა ქმნიან იმ უნიკალურ გარემოს, სადაც მიიღება უნიკალური „ნინოწმინდის თაფლი“.

4.2. რეპუტაცია

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მოწეული თაფლი ოდითგანვე განთქმული იყო სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში.

იგი ტრადიციულად აღიარებული თაფლია რეგიონში. ცნობილი ქართველი თურქოლოგი,

„გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ მკვლევარი, პროფესორი მიხეილ სვანიძე თავის წიგნში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში“ 101-ე გვერდზე აღნიშნავს „მეფუტკრეობა დიდად იყო დაწინაურებული აგრეთვე სამცხე-საათაბაგოშიც. აქ მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობდა ხელსაყრელი კლიმატური და მდიდარი საკვები ბაზა ხეხილისა და მცენარეთა ფლორის სახით. სამცხე-საათაბაგოში მეფუტკრეობასთან დაკავშირებით ვახუშტი წერდა: „ფუტკარნი მრავალნი და თაფლნი კარგი და მრავალნი“ (ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოის“ ა. გვ745. ავტ.). საქართველოში ამ მხარეში რომ „უხვად იყო თაფლი“, ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ფრანგ მოგზაურს ჟ. შარდენს (ჟ. შარდენი, „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. გვ. 270)“. მიხეილ სვანიძის კვლევით, სამცხე-საათაბაგოში 16-ე საუკუნეში, 711 სოფლიდან მეფუტკრეობას მისდევდნენ 702 სოფელში, სადაც განთავსებული იყო 91576 სკა, რომლებიდანაც წლიურად იწარმოებოდა 686820 კგ თაფლი. ერთ კომლზე საშუალოდ იწარმოებოდა 3,6 კგ თაფლი. ჩვენთვის საინტერესოა სამცხე-საათაბაგოს ახალქალაქის ლივას აკშეჰირის რაიონის მონაცემები, რომელიც ასე გამოიყურება (45 სოფლიდან მეფუტკრეობას მისდევდნენ ორმოცდახუთივეში, სადაც განთავსებული იყო 3239 სკა, საიდანაც წლიურად იწურებოდა 48585 კგ თაფლი, კომლთა რაოდენობა 605, ერთ კომლზე საშუალოდ 5,3 კგ თაფლი. აკშეჰირის რაიონი მოიცავდა დღევანდელი ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას, რომელსაც „ახალქალაქი ჯავახეთისაი“ შემდეგნაირად აღწერს „აკშეჰირის რაიონი მოიცავდა ახალქალაქის პლატოს, ჯავახეთის ქედიდან მოყოლებული ვიდრე მტკვრის კანიონამდე. ფართობის მიხედვით, ჯავახეთში ეს ყველაზე დიდი და მრავალსოფლიანი რაიონი იყო“. (წყარო: dzeglebi.ge, ახალქალაქი ჯავახეთისაი http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/axalqalaqi _javaxetisai1.html)

5. თაფლის წარმოება

„ნინოწმინდის თაფლის“ მისაღებად სკები უნდა განთავსდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის არეალში, ფუტკრის ინფექციური დაავადებების მიმართ კეთილსაიმედო ადგილას.

დასაშვებია საფუტკრის მთაბარობა სხვა მუნიციპალიტეტებიდან ნინოწმინდაში ივნისაგვისტოს პერიოდში, ან ნინოწმინდიდან თებერვალ-მაისის განმავლობაში სხვა მუნიციპალიტეტებში, ოღონდ ნინოწმინდის თაფლის არეალში საფუტკრის განთავსებისას, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს სხვა რეგიონში მიღებული თაფლის შერევა, „ნინოწმინდის თაფლთან“ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები: 1) ყველა სკაში სკის ბუდის განყოფილებასა და სასაქონლე თაფლის კორპუსს შორის უნდა განთავსდეს განიმანის ბადე; 2) სასაქონლე კორპუსში არსებული ყველა თაფლიანი ჩარჩოს ნაცვლად უნდა განთავსდეს მშრალი (უთაფლო) ჩარჩოები და სასაქონლე თაფლი უნდა დაიწუროს მხოლოდ ამ ფიჭებიდან. 3) დაუშვებელია მეფუტკრის მიერ რაიმე მიზნით სკის ბუდის განყოფილებიდან თაფლიანი ჩარჩოების გადატანა სასაქონლე კორპუსში.

სკებიდან დასაწურად განკუთვნილი ფიჭების ამოღება და საამქრომდე ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ისეთნაირად, რომ არ დაბინძურდეს ფიჭები.

საამქრო, სადაც თაფლი უნდა დაიწუროს, აღჭურვილი უნდა იყოს და უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. საამქროში მიღებული თაფლიანი, გადაბეჭდილი ფიჭები განიბეჭდება, თაფლი დაიწურება, გაიფილტრება, ჰომოგენიზდება და დასაწყობდება სპეციალურ ჭურჭელში, რომელიც განკუთვნილია კვების პროდუქტების შესანახად.

„ნინოწმინდის თაფლის“ დაფასოება ხდება მხოლოდ მინის ქილებში. მიღებული თაფლის ყოველი პარტია უნდა აკმაყოფილებდეს ამ სპეციფიკაციის ყველა მოთხოვნას.

6. წარმოშობის დადასტურება

ბიზნესოპერატორი, რომელიც დაინტერესებულია გამოიყენოს „ნინოწმინდის თაფლი“ გეოგრაფიული წარმოშობის დასახელება, ვალდებულია:

1. თაფლი აწარმოოს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საზღვრების პერიმეტრის შიგნით.
2. თაფლის დაწურვამდე უნდა შეავსოს დეკლარაცია ადგილზე არსებული სკების ოდენობის შესახებ, მონაცემებით თითოეულის განთავსების დროის, რაოდენობისა და ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ, აგრეთვე, მოპოვებული თაფლის ოდენობის, მათ შორის, რომელიც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა „ნინოწმინდის თაფლი“.
3. უზრუნველყოს კოოპერატივ „კოდის“ წარმომადგენლის მიყვანა სკების განთავსების ადგილას, აჩვენოს საამქრო და მისი აღჭურვილობა, წარუდგინოს ხარისხის შესაბამისობის, უვნებლობის დოკუმენტები და ჟურნალში ჩანაწერები.
4. თითოეული ბიზნესოპერატორი ვალდებულია ყოველწლიურად შეადგინოს დეკლარაცია თაფლის საკუთარი მარაგების შესახებ. სარეგისტრაციო ჟურნალში უნდა იქნეს მოყვანილი მონაცემები ყველა სახის თაფლის წარმოშობის, მისი რაოდენობის, მიწოდების და სავაჭრო ქსელში განთავსების შესახებ.

წარმოშობის დასადასტურებლად გამოიყენება პროდუქტის ანალიზისა და ორგანოლეპტიკური ტესტირების შედეგებიც.

მას შემდეგ, რაც დადასტურდება „ნინოწმინდის თაფლის“ წარმომავლობა და შესაბამისობა, გაიცემა წერილობითი ნებართვა გეოგრაფიული აღნიშვნის „ნინოწმინდის თაფლის“ გამოყენებისათვის, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული პარტია და თაფლის ოდენობა.

7. ეტიკეტირება

მინაში დაფასოებული თაფლის ეტიკეტირება ხდება „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა“ და „ტექნიკური რეგლამენტი სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“-ის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ეტიკეტის ცენტრალურ ნაწილში უნდა მიეთითოს „გეოგრაფიული დასახელება ნინოწმინდის თაფლი“ და განთავსდეს მისი ლოგო. ლოგო უნდა განთავსდეს, აგრეთვე, ქილის სახურავზეც.

ლათინური შრიფტით – NINOTSMINDA HONEY
რუსული შრიფტით – ниноцминдский мед

8. კონტროლი

თაფლის „ნინოწმინდის თაფლის“ სპეციფიკაციასთან შესაბამისობის შიდა კონტროლს ახორციელებს კოოპერატივი „კოდი“, ხოლო გარე კონტროლი ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გამოყენებული საინფორმაციო წყაროები და ლიტერატურა:

1. http://w3.cenn.org/cenn_projects/MC_CCA/Baseline%20Survey%20Reports/Georgia/MC_CENN_Baseline%20Survey%20Report%20of%20Ninotsminda_EU_GEO_121201.pdf
2. http://ninotsminda.ge/
3. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98
4. http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/axalqalaqi_javaxetisai1.html
5. http://apa.gov.ge/ge/biomravalferovneba/djavaxetis-daculi-teritoriebis-biomravalferovneba
6. გურამ ქობლიანიძე, შოთა ჩოგოვაძე, „ქართული თაფლი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1980.
7. მიხეილ სვანიძე „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში“. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1984.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით ცერცვაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ცერცვაძე (პ/ნ 09001005024), თბილისი, დიღომი 7, პარმენ ყურაშვილის 17 (მგზავრების ოფისი)

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი, ცეკავშირის მიმდებარე ტერიტორია, სართული 3, ბინა 321 საკადასტრო კოდი: 64.30.01.578.01.01.321https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 104140.65 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 8 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65808920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658089

6. **მოვალე:** ვლადიმერ ჯოხაძე (პ/ნ 01017012382), თბილისი, სანზონა, ჟინვალის ქ. 15.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65808920; ლოტის ნომერი: 658089).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 27 მაისის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „დავიდეს“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დავიდე“ (ს/ნ 406112601), თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ვარკეთილის დას., ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. №20, სადარბაზო 1, სართული 2, ბინა 4 (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.607.01.01.004https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 62104.17 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 9473.51 ლარს).
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 11 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 28 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65815720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 658157

6. **მოვალე:** ივანე ფურცელაძე (პ/ნ 13001038513), გურჯაანი, ი. ჭავჭავაძის ქ. №15;
შპს „დავიდე“ (ს/ნ 406112601), თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ვარკეთილის დას., ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65815720; ლოტის ნომერი: 658157).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 28 მაისის 10:00 საათამდე.



კოვიდ-19

ჭკუაზე მოვეგოთ, ქართველებო!

ჩვენი სამყარო ოკეანეა დიდი,
დიდია, მაგრამ არ არის წყნარი,
ვეცადე, მაგრამ ვერ დავამშვიდე,
და ვერც იარაღი ავყარე.

ქვეყნები და ხალხები ღარიბდება,
ხალხი ღარიბდება, ურანი მდიდრდება,
ქვისმთლელების კომიტეტი ყალიბდება,
მიდის ცხოვრება, უკუღმა მბრუნავი.

არ მეღირსა დრო, რომელსაც ვნატრობდი,
ვერ დავარისხე ზარი განგაშის,
სახიფათოა გახლეჩილი ატომი,
ისე, როგორც ცეცხლთან თამაში.

მეც გამაღარიბა ურანმა მდიდარმა,
სატანისტების ხელშია ოქრო,
სად მიედინება ვერცხლის მდინარე,
ანდა ვინ არი იმათი ნოქარი?

პატარა ქვეყნებს დიდები მიუსიეს,
რატომ არ ვიცი, ნატოა მორიგე,
ერთადერთი საშველი კორონავირუსია,
იქნება-მეთქი, ჭკუაზე მოვეგოთ!

აღარ გავდივარ სახლიდან გარეთ,
აღარ ვიკეთებ კოპლებიან ჰალსტუხს,
თუ გინდათ, პანდემია მე დამაბრალეთ,
თუ გინდათ, ამაზეც მე ვაგებ პასუხს.

მე დამაბრალეთ ჰიროსიმა, ნაგასაკი,
უთუოდ საჭირო ახალი ნიურნბერგი,
ფაშიზმი მშვიდობის ემბლემად გავასაღეთ,
ისევ გამოჰყავთ სიკვდილის ნერგები.

კვლავ სატანისტობენ მსოფლიოს მმართველები,
რომლებმაც თავისით დაირქვეს ქვისმთლელები,
საკუთარ ადგილს დავეძებთ ქართველები,
ჯერ კიდევ დროა, ვიდრე ხალხად ვითვლებით.

რამ გამახსენა ჯორდანო ბრუნო?
სხვას ნუ აბრალებთ, კენედი მე მოვკალი,
მაგრამ დედამიწა ისევ ისე ბრუნავს,
ბრუნავს და ახლაც ღიაა ონკანი.

სახეზეა „ლეგედ, რაკ და შუკა“,
ვეღარ ვიტან შეშლილების სიფათებს,
მეოთხედი საუკუნე მივდივართ უკან,
გვირაბის ბოლოში გვგონია სინათლე.

აღარც სამშობლო გვიყვარს, აღარც ერთმანეთი,
თავი კი მოგვაქვს ყველაფრის მცოდნედ.
ვიწამოთ ერთმანეთი, ვიწამოთ ღმერთი,
ღმერთი მოწყალეა და შეგვინდობს ცოდვებს.

კოვიდ-19 ბობოქრობს და ბობოქრობს,
გამოცდაა თუ უფალმა გაგვიმეტა,
ოქრო რომ ოქროა, არ არის ოქრო,
სიცოცხლე ოქროა და ოქროზე მეტიც.

ვირუსმა არ იცის მდიდარი და ღარიბი,
არ ინდობს პრემიერებს, კონგრესმენებს, ლორდებს,
არ არსებობს იმისათვის ალიბი,
ქვეყანა რომ დავამსგავსოთ ბორდელს.

უფალმა მოგვიწყო ძნელზე ძნელი გამოცდა,
თანდათან ვემსგავსებით
შინაპატიმრებს,
ამჯერადაც იმდენი სიმართლე
წამომცდა,
უფლის გარდა, არავინ მაპატიებს.



შოთა ზოიძე,
აღდგომა. 19 აპრილი, 2020.

ბიძინა ივანიშვილი მთაწმინდის ფერდობს გაამწვანებს

ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, მთაწმინდის ფერდზე დაახლოებით 700 ჰექტარი ტერიტორია გამწვანდება. ფონდ „ქართუსთან“ შეთანხმების ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია იწყებს დედაქალაქის გულის, მთაწმინდის ფერდის აღდგენის პროექტს, რომელიც მთაწმინდის ფერდის ტყის ლანდშაფტის სრულ აღდგენა-რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ჩვენი მთავარი მიზანი, მთაწმინდის ფერდის ლანდშაფტის ოთხ სეზონად გადაქცევაა, რაც მარადმწვანე და ფოთლოვანი ხეების, ასევე ბუჩქოვანი და ბალახოვანი საფარის განაშენიანება-რეაბილიტაციას გულისხმობს“, — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.



საქმე ისაა, რომ ათეულობით წლების წინ დარგული ფიჭვები დაავადდა, გახმა და ჩანაცვლებას საჭიროებს. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იქნება, რომელსაც ფონდი „ქართუ“ ახორციელებს. ბიძინა ივანიშვილის და ფონდ „ქართუს“ მიერ დენდროლოგიური პარკის განაშენიანებამ, გვახსოვს ოპოზიციის რამდენად არაადეკვატური რეაქცია გამოიწვია — გადასარგავი ხეების ტრანსპორტირების თითქმის ყველა პროცესი, გვარამიას „რუსთავი-2“-ის გადაღებების და ოპოზიციური მიტინგების ფონზე მიმდინარეობდა. ასე რომ, მოსალოდნელია, მთაწმინდის ფერდის გამწვანების პროცესის გამო ბიძინა ივანიშვილი ისევ გახდეს ოპოზიციის სამიზნე.

ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე** თვლის, რომ ეს ის თემა არაა, რომელიც პოლიტიკური გარჩევების მიზეზად უნდა იქცეს. მთაწმინდის ფერდი ყოველთვის არ იყო გამწვანებული. — „Тбилиси окружен каменистыми горам“, — წერდა პუშკინი. ჯერ რუსეთის იმპერიის და შემდეგ საბჭოთა კავშირის დროს ჩატარდა გამწვანების ღონისძიებები, მაგრამ საქმე ის არის, რომ, ძირითადად, აქ დაირგო ისეთი მცენარეები, რომლებიც არ იყო ენდემური. მაგალითად, იგივე ტუია, შავი ფიჭვი, კიპარისი და სხვები, რომლებმაც კი იხარეს, მაგრამ ვინაიდან არ იყვნენ შეგუებული ამ კლიმატს, ამ ნიადაგს, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდი არ აღმოჩნდა, ხეები დაავადმყოფდა და თუ სასწრაფოდ არ გამოიცვალა ახალი ნარგავებით, პუშკინის ეპოქას დავუბრუნდებით. თუმცა, იმ დროს ნამდვილად არ იყო ჰაერი ასე დაბინძურებული და მოშიშვლებული მთაწმინდის ფერდობი დღეს გაცილებით არასასურველი იქნება. ამიტომ ვერ ვიტყოდი, რომ ეს არის არააქტუალური ამოცანა. ეს გუშინ რომ გაკეთებულიყო, გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

700 ჰექტარზე ახალი ტყის გაშენება ნამდვილად დიდი და კეთილშობილური საქმეა, მით უმეტეს, რომ დიდი რუდუნებით არის შერჩეული დასარგავი ხეების ჯიშები. ეს ძალიან კარგია. მეტსაც გეტყვით, მომავალში გასამწვანებელია თრიალეთის ქედის ის ნაწილი, რომელიც კრწანისს მიუყვება და რომლის ფართობიც დაახლოებით 80 ათასი ჰექტარია. ესეც, ჩემი აზრით, პირველი რიგის ამოცანაა, რომ გამწვანდეს და დაირგოს ენდემური მცენარეები, მაგალითად ნუში, ბროწეული, წითელი ტყემალი, იასამანი, ნეკერჩხალი, მუხა და ის წიწვოვანი მცენარეები, რომელიც ადაპტირებულია ამ გარემოსთან.

შესაბამისად, ეს მართლაც კარგი პროექტია და, თუ ეს განხორციელდება არასაბიუჯეტო სახსრებით, არამედ თანხას ბიძინა ივანიშვილი და ფონდი „ქართუ“ გამოყოფს, რა შეიძლება ამაზე ითქვას, შესანიშნავი იქნება.

მართა ლაბაძე

მაისის თოვლი ბაკურიანში

ბაკურიანში თოვლი მოვიდა. თოვლიანი ბაკურიანის ფოტოებს ფეისბუქგვერდი bakuriani.ge ავრცელებს. ვებგვერდის ინფორმაციით, ფოტოები დღეს, 10 მაისს არის გადაღებული.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

გუშინ საქართველოში კორონავირუსის ცხრა ახალი შემთხვევა გამოვლინდა. ახალი მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის 635 შემთხვევაა დადასტურებული. გამოჯანმრთელდა კიდევ 12 პაციენტი — სულ გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა 309-ს შეადგენს.

ამასთან, უცხოეთიდან სამკურნალოდ გადმოყვანილია საქართველოს სამი მოქალაქე. კორონავირუსის შედეგად, ქვეყანაში ათი პაციენტი გარდაიცვალა.

კარანტინის რეჟიმში 4717 მოქალაქე იმყოფება, ხოლო სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ — 452.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2100; ევრო - 3.4800;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9727;
100 რუბლი - 4.3595; თურქული ლირა - 0.4522;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8835;
1000 სომხური დრამი - 6.6322.

ამინდი 11 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	–1,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+19
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge